*დანართი №5*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

*სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის საჯარო სკოლა*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ვერა ყურულაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

**წევრები:**

ნიკოლოზ წულაია -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ინგა ლომაძე -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თამარ ცხადაია -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ხათუნა წიკლაური -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ეკატერინე ხუციშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ინგა კაჭარავა -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
მზევინარ მჟავანაძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ლია სვიმონიშვილი -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
გიორგი ბერიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
მაკა ინაშვილი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 225065201 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ბაღდათი |
| ფაქტობრივი მისამართი | ბაღდათი, სოფელი ხანი |
| საფოსტო ინდექსი | 1000 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | skolebi.emis.ge, |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Khani@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 591255022 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 2 26 0000416747 ბრძანებ 07.04.2026 წ. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2026 წ. 4-5 მაისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ბაღდათი, სოფელი ხანი შენობა ერთი |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ბაღდათი, სოფელი ხანი შენობა ერთი |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ბაღდათი, სოფელი ხანი შენობა ერთი |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☐ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br>---------- | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☒ | სკოლას მოთხოვნილი აქვს თვითშეფასების მიხედვით 150 მოსწავლე. სოფელ ხანის სკოლას არ გააჩნია მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობისთვის საკმარისი მერხების და კომპიუტერების რაოდენობა, რაც ხელს შეუშლის მოსწავლეებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში. არ არის წარმოდგენილი დოკუმენტი,რომელიც მოგვცემს საშუალებას, განვსაზღვროთ მოხდება თუ არა საავტორიზაციო პერიოდში მერხების და კომპიუტერების შეძენა.სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები საშუალებას იძლევა ორ ცვლაში მოახდინოს 90 მოსწავლის განთავსება |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| *ინდიკატორი N* | | |
| *სტანდარტი N4* | *მოსწავლეთა მხარდაჭერა* | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | *სკოლის ფილოსოფია* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.2.1.2.* | *სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დაკონკრეტდეს წლების მიხედვით, მასში განისაზღვროს პრიორიტეტების განხორციელებისათვის აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, საჭირო რესურსები. შვიდწლიანი გეგმა იყოს ციკლური და ეფუძნებოდეს სკოლ მისიას, ხედვას და ღირებულებებს. (03.06.2026-10.09.2026)* |
| *ინდიკატორი N1.2.1.3.* | *სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სამოქმედო გეგმა იყოს ერთწლიანი. დაეფუძნოს სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. (03.06.2026- 10.09.2026)* |
| *ინდიკატორი N1.2.1.4.* | *სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებ შესაბამისი აქტივობები, შესრულებ გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტურ ვადები, პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი რესურსები, რომელ უზრუნველყოფაც რეალისტურია* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. (03.06.2026- 10.09.2026)* |
| *სტანდარტი N3* | *სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |

[1] გარდ მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N3.1.2.4.* | *პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამ მოქმედ კანონმდებლობასა დაწესებულების მიერ დადგენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს სკოლის დაკომპლექტ შესაბამისი კვალიფიკაციური კადრებით. (03.06.2026- 10.09.2026)* |
| *ინდიკატორი N3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი,უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაცი უსაფრთხოების შესახებ დასკვნა* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია : შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოებთან (20.02.2026-01.06.2027 წ.)*<br>*სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს ვიდეოსათვალთვალო კამერების განლაგება სკოლის გარე და შიდა პერიმეტრზე (01.03.2026-01.03.2028 წ.)*<br>*სკოლას მიეცა რეკომენდაცია: მიმართოს შესაბამის ორგანოებს სკოლის შენობ რეაბილიტაციის მიზნით, რადგან,სამხარაულის ეროვნული ბიუროს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნაში წერია რომ,შენობის უსაფრთხოების მდგომარეობა არის არადამაკმაყოფილებული. (04.06.2026- 04.06.2028)* |
| *ინდიკატორი N3.5.1.4.* | *სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყ პანდუსის და რესურსებით აღჭურვილი რესურს ოთახის მოწყობა (01.03.2026-01.03.2027 წ.)* |
| *ინდიკატორი N3.5.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს მოსწავლეთა რაოდენობისთვ შესაბამისი მერხების და კომპიუტერების რაოდენობა. (03.06.2026- 03.06.2027)*<br>*სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლაში მოეწყოს საბუნებისმეტყველ ლაბორატორია (03.06.2026- 03.05.2028)* |

| | | |
|---|---|---|
| | *მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით* | |
| *ინდიკატორი N3.6.3.5.* | *ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლ შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებებ სტრუქტურა, პროგრამ(ებ) სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვ პროცედურები და მისანიჭებელ კვალიფიკაცია (განათლებ დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლ პროცესთან დაკავშირებული აუცილებელ მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერ სერვისები, გასაჩივრების მექანიზმებ ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებ შესრულების შედეგები და საკონტაქტ ინფორმაცია* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია: ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას სკოლის შესახებ (03.06.2026- 10.09.2026)* |
| *სტანდარტი N4* | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | **სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)** | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N...* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლ პროგრამის დასახელება)* | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N. 2.1.2.1* | *საბაზო და საშუალო საფეხური* | *საბაზო საფეხურის <u>ბიოლოგიის</u> მე-7 კლასის კურიკულუმში ყველა თემის ფარგლებში ასახოს ოთხივე სამიზნე ცნებები. მე-7 და მე-8 კლასების კურიკულუმებში შეავსოს "კონტექსტ-მაგალითების" და "მაგალითი შედარებისთვის" სვეტები. მე-7, მე-8, მე-9* |

| | | |
|---|---|---|
| | | *კლასების კურიკულუმებში გაასწოროს სამიზნე ცნება- "სტრუქტურა და ფუნქციის" ნაცვლად ასახოს "სტრუქტურა, ფუნქცია"; ფიზიკის მე-7 კლასის კურიკულუმში მკაფიოდ აისახოს მხოლოდ სამი თემა "ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები", "თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა", "ძალა და წნევა" და საკითხები გადანაწილდეს ამ თემების ფარგლებში, აგრეთვე თითოეულ თემაში აისახოს შეაბამის სვეტში ყველა სამიზნე ცნებები შესაბამის ქვეცნებებით. მე-9 კლასის კურიკულუმში დაკორექტირდეს პირველი თემის დასახელება "არათანაბარი და აჩქარებული მოძრაობის" ნაცვლად აისახოს - "არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა" საშუალო საფეხურის ბიოლოგიის მე-11 კლასის კურიკულუმში შეავსოს "კონტექსტ-მაგალითების" და "მაგალითი შედარებისთვის" სვეტები. მე-10, მე-11 კლასების კურიკულუმებში გაასწოროს სამიზნე ცნება- "სტრუქტურა და ფუნქციის" ნაცვლად ასახოს "სტრუქტურა, ფუნქცია". მე-12 კლასის არჩევითი საგანი "სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა" კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსი, სასურველია, ასახოს მომავალში სკოლის მიერ შემუშავებულ ერთიან კურიკულუმის ფორმაში. ფიზიკის მე-11 კლასის კურიკულუმში დაკორექტირდეს მეორე თემის დასახელება "მექანიკური რხევები და ტალღების" ნაცვლად ასახოს "რხევები და ტალღები". ქიმიის მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმებში შეავსოს "კონტექსტ-მაგალითების" და "მაგალითი შედარებისთვის" სვეტები.*<br><br>*სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებში მეტი ვიზუალური* |

| | | |
|---|---|---|
| | | *და გასაგები ინფორმაციის აღქმის მიზნით, განიხილოს უნიფიცირებული კურიკულუმის ჩარჩოს ტაბულის გაფორმების მიდგომები, მაგალითად, სათაურისა და ქვესათაურის სტრუქტურის ერთიანი ფორმატი - სავალდებულო ძირითადი სახელმძღვანელოს მითითებით, სვეტების ერთიანი დასახელება, მათი რაოდენობა, შრიფტის ზომა, შენიშვნებისა და დანართების გამოყენების შესაძლებლობა და სხვა.* |
| *2.1.2.1* | *სამივე საფეხური* | *სასურველია, გადაიხედოს ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე შემავალ საგნებში თითქმის ყველა საფეხურის კურიკულუმები და მოხდეს სწორად დაგეგმვა და გეგმიურად გაწერა სავალდებულო თემებისა, სამიზნე ცნებების სწორად განსაზღვრა და შეძლებისდაგვარად დატვირთვა შემოქმედებითი/ კომპლექსური დავალებებით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ინტეგრირებას და სასწავლო პროცესის უფრო მიზანმიმართულ, თანმიმდევრულ სტრუქტურირებას მესამე თაობის ესგ-ს პრინციპების შესაბამისად.* |
| *2.1.2.1* | *სამივე საფეხური* | *სახელმწიფო ენა - სასურველია, საკითხი კომპლექსური დავალების შემთხვევაში დაიწეროს, რადგან საკითხი სწორედ იმას აღნიშნავს, ეს დავალება რას ეხება. ცალკე უფუნქციოა. სასურველია გასწორდეს კურიკულუმის ე.წ. ქუდიც და სწორად დაიწეროს სახელმძღვანელოს ავტორები და გამომცემლობა, რომ გაუგებრობა არ გამოიწვიოს.* |
| *2.1.2.1* | *სამივე საფეხური* | *მათემატიკა -ყველა საფეხურის კურიკულუმში სრულად აისახოს ყველა შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალება, რასაც რეალურად ახორციელებენ, მიზანშეწონილია* |

| | | |
|---|---|---|
| | | *რესურსების სვეტის სრულყოფილად შევსება, კერძოდ: სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდების, ელექტრონული მისამართებისა და გამოყენებული მატერიალური რესურსების დეტალური მითითება. ასევე, სასურველია თემების სახელწოდებების ფორმულირება შესაბამისობაში იყოს საგნობრივ სტანდარტთან და კურიკულუმში ნათლად იყოს წარმოდგენილი თემების მიხედვით საათობრივი განაწილება. სრულყოფილად შეივსოს კურიკულუმის ცარიელი სვეტები („მაგალითები შედარებისთვის“, „კონტექსტ- მაგალითი“ და სხვა). საბაზო და საშუალო საფეხური კურიკულუმებში ჩასწორდეს სამიზნე ცნებები.*<br>*VIII კლასის კურიკულუმში შეტანილ იქნეს შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომელთა ნაწილი დანართის სახით წარმოადგინა სკოლამ.* |
| *2.1.2.1* | *დაწყებითი საფეხური* | *სკოლის დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში პირველ მე-2, მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებში გასწორდეს სამიზ ცნებები: “სივრცეში ორიენტირების”, “გარემოს დაცვის”, “მოვლენ ნაცვლად აისახოს - “გეოგრაფიური ობიექტი”, “მდგრადი განვითარებ “მოვლენა, პროცესი”, აგრეთვე თითოეულ თემაში აისახოს ხუთი სამიზნე ცნება შესაბამისი ქვეცნებებით. გასწორდეს მე2-კლას კურიკულუმში მეორე და მესამე თემების დასახელება და აისახოს “წყალ როგორც გარემო” და”ჰაერი როგორ გარემო”.მე-5 და მე-6 კლასებ კურიკულუმებში აისახოს მხოლოდ სწორი დასახელება სამიზნე ცნების ”მოვლენა, პროცესი ”<br>*სკოლის დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში მეტი ვიზუალური და გასაგები ინფორმაციის აღქმის მიზნით, განიხილოს უნიფიცირებული კურიკულუმის* |

| | | |
|---|---|---|
| | | *ჩარჩოს ტაბულის გაფორმების მიდგომები, მაგალითად, სათაურისა და ქვესათაურის სტრუქტურის ერთიანი ფორმატი - სავალდებულო ძირითადი სახელმძღვანელოს მითითებით, სვეტების ერთიანი დასახელება, მათი რაოდენობა, შრიფტის ზომა, შენიშვნებისა და დანართების გამოყენების შესაძლებლობა და სხვა.* |
| *2.1.2.2* | *საბაზო და საშუალო საფეხური -* | *საბაზო საფეხურის ბიოლოგიის (გარდა მე-8 კლასის) და ქიმიის მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმებში მკაფიოდ აისახოს შემოქმედებითი დავალებების ან/და სასწავლო პროექტების იდეა შესაბამისი პროდუქტის სახეობის მითითებით. საშუალო საფეხურის ქიმიის მე-11, მე-12, ბიოლოგიის მე-11, მე-12 კლასების საგანმანათლებლო კურიკულუმებში მოკლედ და მკაფიოდ აისახოს შემოქმედებითი დავალებების ან/და სასწავლო პროექტის იდეა შესაბამისი პროდუქტის სახეობის მითითებით.* |
| *2.1.2.2* | *სამივე საფეხური* | *სასურველია, მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება. ასევე დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება; განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად.* |
| *2.1.2.2* | *საშუალო საფეხური* | *სასურველია, რომ რუსულ ენაში, საშუალო საფეხურზე, ერთი თემის ფარგლებში შერჩეულ შუალედურ დავალებებში, დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა გრძელვადიანი* |

| | | |
|---|---|---|
| | | *მიზანი და გააზრებული საგნობრივი შინაარსების გადმოსაცემად და სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღსაწერად, ქვესაკითხების ჩამონათვალი იყოს სრულყოფილი და ზუსტი* |
| *2.1.2.2* | *სამივე საფეხური* | *სახელმწიფო ენა - სასურველია, მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მიზნით მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს შემოქმედებითი ტიპის დავალებები და კათედრამ კურიკულუმში ასახოს ესგ-ს შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული უფრო მეტი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალება.* |
| *2.1.2.2* | *სამივე საფეხური* | *ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში სვეტის სახელწოდება: „კომპლექსური დავალების იდეა“, ჩანაცვლდეს „შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებით“, სრულად აისახოს ყველა ტიპის დავალება, რომელიც იძლევა შემოქმედებით პროდუქტს და მიმართულია შუალედური მიზნების მიღწევისაკენ. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სამიზნე ცნებების ტერმინოლოგია დაზუსტდეს საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, შეტანილ იქნეს შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომლებიც მიემართება შუალედურ მიზანს.* |
| *2.1.2.2* | *დაწყებითი საფეხური* | *დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო კურიკულუმებში აღდგეს სვეტი - "შუალედური დავალების იდეა", სადაც მკაფიოდ აისახება შემოქმედებითი დავალების /სასწავლო პროექტების იდეა შესაბამისი პროდუქტის სახეობის მითითებით.* |
| *2.1.2.3* | *საბაზო და საშუალო საფეხური* | *საბაზო და საშუალო საფეხურების ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის კლასების კურიკულუმებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ, რეალური ან/და, ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები* |

| | | |
|---|---|---|
| | | ან/და ცდები, განსაზღვრონ დასახელება, მითი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო საშინაო და სხვა) და ნუმერაცია. |
| 2.1.2.3 | დაწყებითი საფეხური | სასურველია, მე-5-მე-6 კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმში სრულად აისახოს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით გამოყენებული დამატებითი რესურსები, ასევე საჭიროა უფრო მეტი მრავალფეროვნება მასალების შერჩევისას ყველა კლასის კურიკულუმში სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| 2.1.2.3 | სამივე საფეხური | სამივე საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში სვეტის სახელწოდება „რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის“ ჩანაცვლდეს „სასწავლო რესურსებით“ და სრულად აისახოს ყველა გამოყენებული რესურსი, ასევე მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები. |
| 2.1.2.3 | დაწყებითი საფეხური | სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნის ყველა კურიკულუმებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღვროს დასახელება, მათი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო და სხვა) და ნუმერაცია. |
| 2.1.2.4 | საბაზო და საშუალო საფეხური - | საბაზო და საშუალო საფეხურების ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების / სასწავლო პროექტების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. |
| 2.1.2.4 | სამივე საფეხური | სასურველია, რომ სამივე საფეხურზე, პირველ და მეორე უცხოური ენების კურიკულუმებში სრულყოფილად |

| | | |
|---|---|---|
| | | *აისახოს დიფერენცირებული ინსტრუმენტები და აქტივობები.* |
| *2.1.2.4* | *სამივე საფეხური* | *სახელმწიფო ენა - სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები სრულად აისახოს კურიკულუმებში.* |
| *2.1.2.4* | *დაწყებითი საფეხური* | *სკოლის დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველებ საგნის შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნებ დავალებების / სასწავლო პროექტების პირობების შექმნისას მკაფიო გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომებ დიფერენცირებული სწავლებისას გამოყენებული მასალა აისახოს ყველ საგნის კურიკულუმში* |
| *2.1.2.5* | *საბაზო და საშუალო საფეხური* | *საბაზო და საშუალო საფეხურების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მოამზადონ საბუნებისმეტყველო (ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის) საგნებისათვის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი - კონკრეტული შემოქმედებითი ბუნების დავალება ან/და სასწავლო პროექტი, აგრეთვე, სრულად მოამზადონ ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;<br><br>საბაზო და საშუალო საფეხურების - ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებისათვის შეიქმნან შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება საბაზო და საშუალო* |

| | | |
|---|---|---|
| | | საფეხურების საბუნებისმეტყველო - ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნების სამიზნე ცნებებზე. |
| 2.1.2.5 | სამივე საფეხური | სასურველია, რომ სამივე საფეხურზე, უცხო ენების კათედრამ უზრუნველყოს მოსწავლეთა თვითშეფასების/ურთიერთშეფასების ინსტრუმენტების ინტენსიურად შემუშავება და დახვეწა. |
| 2.1.2.5 | სამივე საფეხური | ესთეტიკური აღზრდა- შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგად ხასიათისაა, შესაბამისად მასწავლებელებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები. |
| 2.1.2.5 | სამივე საფეხური | სასურველია, სახელმწიფო ენაში კათედრამ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი. ასევე შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. |
| 2.1.2.5 | სამივე საფეხური | მათემატიკა - შეფასების მეტი გამჭირვალობისათვის, შეიქმნას კონკრეტულ სასწავლო თემებზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რაც გააუმჯობესებს განმავითარებელი უკუკავშირის ხარისხს. |
| 2.1.2.5 | დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნისათვის სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადონ დაწყებითი საფეხურის |

| | | |
|---|---|---|
| | | *შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი-კონკრეტული შემოქმედებითი ბუნების დავალება ან/და სასწავლო პროექტი, აგრეთვე, სრულად მოამზადონ ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და<br><br>ქვესაკითხებთან მიმართებით ნაწილობრივ მეორე სემესტრის მე-5 და მე-6 კლასებისათვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნისთვის შეიქმნას შემაჯამებელი და სადიაგნოსტიკო დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნის სამიზნე ცნებებზე.* |
| *2.2.1.1* | *სამივე საფეხური* | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების მიმართ ინტერესის გაზრდის და მოსწავლეთა კვლევის უნარების ჩამოყალიბების მიზნით <u>სკოლამ სამივე საფეხურზე</u> განიხილოს არაფორმალური განათლების მიმართულებით მუშაობა (კლუბის/ების, წრეების შექმნა).* |
| *2.2.1.1* | *სამივე საფეხური* | *უცხოური ენები სასურველია, რომ სასწავლო პროცესში, საგანთაშორისი კავშირების გასაღრმავებლად, აქტიურად დაიგეგმოს ინტეგრირებული გაკვეთილები.* |
| *2.2.1.1* | *სამივე საფეხური* | *ესთეტიკური აღზრდა<br>რეკომენდებულია პედაგოგებმა ყველა საფეხურზე აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს* |

| | | |
|---|---|---|
| | | *სწავლის მიზნების ეფექტურ მიღწევას.* |
| *2.2.1.1* | *სამივე საფეხური* | *სახელმწიფო ენა სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით და ყველა ცნების დამუშავება მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში.* |
| *2.2.1.3* | *სამივე საფეხური* | *საბუნებისმეტყველო- სკოლის „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ დოკუმენტის სრულყოფილების მიზნით, დანართის სახით გაჩნდეს ვერიფიკაციის პროცესის შედეგების ანგარიშის ერთიანი ფორმა.* |
| *2.2.1.3* | *სამივე საფეხური* | *უცხოური ენები - სასურველია, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ გააცნონ მოსწავლეებს ან/და ინტენსიურად მოხდეს მათი ჩართულობით შეფასების სქემების წარმოება, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. გარდა ამისა, შეფასების ვალიდურობის უზრუნველსაყოფად, რუბრიკებში, დეტალურად აღიწეროს ზუსტად ის, რისი შეფასებაცაა განსაზღვრული და რა მოლოდინია მოსწავლისგან კონკრეტულ თემასთან (და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით.* |
| *2.2.1.3* | *სამივე საფეხური* | *ესთეტიკური აღზრდა - სასურველია, კონკრეტულ თემებზე დაყრდნობით შეფასების რუბრიკები მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებებთან, მკვიდრ წარმოდგენებთან და ინდიკატორებთან, რათა მოსწავლისათვის უფრო მეტად მკაფიო და ვალიდური იყოს შეფასება .* |

| | | |
|---|---|---|
| 2.2.1.3 | სამივე საფეხური | სახელმწიფო ენა - სასურველია, შექმნან კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან, მკვიდრ წარმოდგენებთან და შესაბამის ინდიკატორებთან, რათა შეფასება იყო მკაფიო და ვალიდური. |
| 2.2.1.3 | სამივე საფეხური | მათემატიკა შეიქმნას კონკრეტულ სასწავლო თემებზე მორგებული შეფასების რუბრიკები, დავალებებში მკაფიოდ იყოს მითითებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები, რაც ნათელს გახდის შეფასების ვალიდურობას |
| 2.2.1.3 | დაწყებითი საფეხური | სკოლის „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ დოკუმენტის სრულყოფილების მიზნით, დანართის სახით გაჩნდეს ვერიფიკაციის პროცესის შედეგების ანგარიშის ერთიანი ფორმა. |
| 2.2.2.1 | საბაზო და საშუალო საფეხური | საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნების ქიმიის მე-8, მე-9 და ბიოლოგიის მე-8 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები შეავსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები; საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსებით, მაგალითად, საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12 სიმულაციები და სხვა; მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსებით და სხვა აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა. საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნების ბიოლოგიის მე-10-12, ქიმიის მე-11, მე-12 და ფიზიკის (გარდა მე-12) კლასების კურიკულუმების ჩარჩოები შეავსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, |

| | | |
|---|---|---|
| | | *კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები; საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსებით; მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსებით და სხვა, აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.* |
| *2.2.2.1* | *სამივე საფეხური* | *ესთეტიკური აღზრდა სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატ უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლა რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლებიც უფრო ეფექტურა შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდ საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლ მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. სასურველია, ყველა საფეხურ კურიკულუმში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რას იყენებე და სასწავლო სახელმძღვანელო რესურსის გვერდები სწორა იყოს გაწერილი კურიკულუმებში, სასწავლო რესურსების სვეტში.* |
| *2.2.2.1* | *სამივე საფეხური* | *- სახელმწიფო ენა სასურველია, გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები და რესურსების გვერდები თუ მისამართები სწორად იქნეს გაწერილი შესაბამის სვეტში.* |
| *2.2.2.1* | *სამივე საფეხური* | *- მათემატიკა ყველა საფეხურის კურიკულუმში დეტალურად აისახოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები; კერძოდ, მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, დაზუსტდეს გამოყენებული ელექტრონული წყაროების (ბმულების) მისამართები, შეიტანონ გამოყენებული მატერიალური რესურსები.* |

| | | |
|---|---|---|
| 2.2.2.1 | დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნის ყველა კლასის კურიკულუმები შეავსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსებით, საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსებით- (მაგალითად, საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12 სიმულაციებით და სხვა); მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსებით და სხვა, აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა. |
| 2.2.2.2 | საბაზო და საშუალო საფეხური | სკოლამ ან საბუნებისმეტყველო კათედრამ საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებში შეიმუშაოს ვალიდაციის ერთ-ერთი შიდა კონტროლის - გადამოწმების უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და გაუმჯობესება. |
| 2.2.2.2 | დაწყებითი საფეხური | სკოლამ ან დაწყებითი საფეხურის კათედრამ შეიმუშაოს ვალიდაციის ერთ-ერთი შიდა კონტროლის - გადამოწმების უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან  დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და გაუმჯობესება. |
| 2.2.2.4 | სამივე საფეხური | სკოლამ გამოაცხადოს ვაკანსია და პედაგოგიური კოლექტივი სრულად დააკომპლექტოს კვალიფიციური კადრებით. |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| | | |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია ის აქტივობები, რომელთა საშუალებითაც სკოლა უზრუნველყოფს ყველა სტანდარტის მოყვანას ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.ასევე სკოლამ წარმოადგინა გათვლილი შესაბამისობის რისკები და რისკის დადგომის ალბათობა*

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა, მისცენ ჩვენს აღსაზრდელებს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი აკადემიური განათლება; ხელი შეუწყონ მოსწავლის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ და სოციალური განვითარებას. მისცენ მათ პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარების შესაძლებლობა, ჩამოუყალიბონ სასწავლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი განწყობა, სკოლის ხედვაში მკაფიოდაა გაწერილი თუ როგორ განუვითარონ მაღალი დონის სააზროვნო უნარები და მოამზადონ ისინი საერთაშორისო საგანმანათლებლო საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიითა და ხედვით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო -კულტურული სივრცე. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, სკოლის შიდა დოკუმენტაცია, სასკოლო სასწავლო გეგმა და დაგეგმილი ღონისძიებები ემსახურება მოზარდის პიროვნულ განვითარებას. სკოლაში შექმნილია პედაგოგებისთვის თანამშრომლობის და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო გარემო, ბავშვისთვის სწავლის, განვითარებისა და აღზრდის შესაფერისი პირობები; უსაფრთხო და თბილი ატმოსფერო, სადაც თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს უსაფრთხოდ და დაცულად, სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად, სადაც მათ აქვს სწავლის და განვითარების თანაბარი შესაძლებლობა. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები. სკოლის სპორტულ მოედანზე ხორციელდება სპორტული აქტივობები, მეგობარი სოფლის სკოლის მოსწავლეებთან ამხანაგურ შეჯიბრებები. ზაფხულის პერიოდშიც შესაძლებელია სოფლის მოსახლეობამ ისარგებლოს აღნიშნული რესურსით. სკოლის თანამშრომელთა შორის უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი, საქმიანი ურთიერთობები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია და ხედვა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ და მისი განხილვა მოხდა სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლის მისია და ხედვა არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, შესაბამისად, პედაგოგიური საბჭო ჯერ შეიმუშავებს და შესათანხმებლად გაუგზავნის სამეურვეო საბჭოს და მხოლოდ შემდეგ ამტკიცებს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებულს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, ამიტომ პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებზე საკითხის გაცნობისა და მსჯელობის შემდეგ დამრიგებლების მიერ ხდება მშობელთა კრებაზე დოკუმენტის გაცნობა. ამ დროს სასკოლო საზოგადოებას საშუალება აქვს დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება, რაც ნიშნავს, რომ საკითხი გაზიარებულია და მათ აქვთ მისი გაცნობის, მოსაზრებების გამოთქმისა და უკუკავშირის მიცემის საშუალება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის. ის გამოკრულია სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე - სკოლის საინფორმაციო დაფაზე. ასევე დამრიგებლები უზრუნველყოფენ სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებისათვის მშობელთა კრებაზე ამ საკითხის გაცნობას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლას სახელი განსაზღვრული აქვს „სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის საჯარო სკოლა“. სკოლას სახელი მიეცა 2011 წლის 19.08. N448 ბრძანების შედეგად.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა

სამეურვეო საბჭოს ოქმი სასწავლო გეგმის შეთანხმებაზე

პედსაბჭოს ოქმი სასწავლო გეგმის განხილვა დამტკიცებაზე

2011 წლის 19.08. 448 ბრძანება

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება და საკითხი განიხილა პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე და მის საბოლოო დამტკიცებამდე მოხდა უკუკავშირის მიღება. მეთოდოლოგიის დაგეგმვა იწყება სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებების) შემუშავება/გაზიარების პროცესით. სკოლის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით განხორციელდება ამ გეგმების მონიტორინგი და შეფასება, მიღებული შედეგების გათვალისწინებით ცვლილებები შევა გეგმებში (საჭიროების შემთხვევაში) და ციკლის დასასრულს დაიწყება მზადება ახალი გეგმების შედგენისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია თუ რა გზას გადის დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვის ერთი ციკლის პროცესში. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის წესი ადგენს მმართველობით პროცესს - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის და განვითარების ძირითად ეტაპებს. განსაზღვრულია პროცესზე პასუხისმგებელი პირები და პროცესში ჩართული მხარეები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**
   სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც დირექტორის წარდგინებით დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ 2025 წლის 5 სექტემბერს #5 სხდომაზე. სტრატეგიული გეგმა ფასდება მისი მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, როგორც უმაღლეს დონეზე დეკლარირებული პრინციპები, რომელთან წინააღმდეგობაშიც არ მოდის სტრატეგიული მიზნები და აქტივობები. გეგმა მოიცავს ძირითად პრიორიტეტებს: 1.მართვა 2.მასწავლებელთა პროფესიული განვითარება 3. სწავლა- სწავლების გაუმჯობესება 4. სკოლის კულტურა.ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა ხარვეზი: შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა არ არის დაკონკრეტებული წლების მიხედვით, მასში არ არის მოცემული პრიორიტეტების განხორციელებისათვის განსაზღვრული აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, საჭირო რესურსები. შვიდწლიანი გეგმის სტრუქტურა არ იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს მისი ციკლურობა. სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**: შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დაკონკრეტდეს წლების მიხედვით, მასში განისაზღვროს პრიორიტეტების განხორციელებისათვის აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, საჭირო

რესურსები. შვიდწლიანი გეგმა იყოს ციკლური და ეფუძნებოდეს სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესრულდება 03.06. 2026- 10.09.2026)

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**
   სკოლის სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმიდან გამომდინარე შექმნილია სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ , ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასება ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი: ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არის ჩაშლილი მთავარი მიზნები, ამ მიზნების შესრულებისთვის განსახორციელებელი ამოცანები და აქტივობები. ერთწლიანი გეგმა არ ითვალისწინებს პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებს და რესურსებს. ვერ დგინდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დაფუძნება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე.სკოლას მიეცა **რეკომენდაცია:** სამოქმედო გეგმა იყოს ერთწლიანი. დაეფუძნოს სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას(შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესრულდება 03.06. 2026- 10.09.2026).

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის ყოველწლიურ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილია განსახორციელებელი ამოცანები და განხორციელების გზები. ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი: სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.სამოქმედო გეგმა არ გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან.სკოლას მიეცა **რეკომენდაცია:** სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.(შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესრულდება 03.06. 2026- 10.09.2026)

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა
სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებაზე
პედაგოგიური საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის განხილვაზე
ბრძანება მეთოდოლოგიის დამტკიცებაზე
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება
სამეურვეო და პედსაბჭოს ოქმები მეთოდოლოგიის გაცნობაზე

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს ერთწლიანი და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმების აქტივობების შესრულების მონიტორინგს, რაც გულისხმობს იმას, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი განხორციელდება წელიწადში ორჯერ, პირველი და მეორე სემესტრის

დასასრულს. ამ ინფორმაციის ანალიზი სკოლას დაეხმარება გააანალიზოს მის მიერ დაშვებული შეცდომები და შემდგომი წლის დაგეგმვის პროცესი უკეთესად წარიმართოს. ხოლო შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი განხორციელდება მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ. სკოლა გეგმავს მონიტორინგის განხორციელებას სასწავლო წლის დასრულების შემდეგ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობა და პროცედურები. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგისას განხილული უნდა იქნას შემდეგი საკითხები: 1)რამდენად სტრატეგიულადაა განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები და რამდენად მიემართება ისინი სასურველი ცვლილებების რეალიზებისკენ ; 2)რამდენად მკაფიოდაა გაწერილი მისაღწევი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები და ასახულია ის სამოქმედო გეგმაში; 3)რამდენად შეესაბამება დაგეგმილი აქტივობები და შერჩეული რესურსები მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას; 4)რამდენად ეფექტიანად არის დაგეგმილი პროცესები, რამდენად არის გათვალისწინებული სკოლის რესურსები და გამტარუნარიანობა; 5)რამდენად ქმედითია სტრატეგიული მიზნებით გათვალისწინებული ინტერვენციები, რამდენად შედეგიანია რეალიზებული პროცესები; 6)რა შესრულდა? 7) რისი განხორციელება შეფერხდა? 8)რომელმა ამოცანამ დაკარგა აქტუალობა და საჭიროა, რომ ამოღებული იქნას გეგმიდან? 9)რომელიმე ამოცანის დამატება ხომ არაა საჭირო? 10)როგორ მივყვება სკოლა განხორციელების ვადებს და ა.შ. ორივე მონიტორინგს განახორციელებს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი და მონიტორინგის შედეგებს წერილობით წარმოუდგენს სკოლის დირექტორს. წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება ხდება სამეურვეო საბჭოზე, სადაც დეტალურად განიხილება შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობები, რაც საფუძვლად ედება მომავალი წლის სამოქმედო გეგმის შედგენას.მონიტორინგის განხორციელებას სკოლა გეგმავს სასწავლო წლის დასრულების შემდეგ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, ამ დროს ხდება დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის

გაზიარება ამ გამოწვევებთან გამკლავებაში. წლიური სამოქმედო გეგმის შეფასება იქნება საჯარო, გამოიკვრება ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში, წარდგენილი სამეურვეო საბჭოზე, საფუძველი იქნება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმისათვის. გეგმის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდება ქმედებები (მაგ: გეგმის კორექტირება, ჩანაწერის დაზუსტება, ვადების გადაწევა შემსრულებლის აქტივობა, წახალისება კარგად შესრულებული სამუშაოსთვის). რაც შეეხება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი იგეგმება დაახლოებით სამ წელიწადში 2029 წლის დეკემბერში, რაც ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით. მონაცემების შეგროვების შემდეგ მოხდება მისი გაანალიზება და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ბრძანება

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სკოლა მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: დირექცია, დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმართველობა, მრჩეველთა საბჭო, სკოლაში არის 7 საგნობრივი კათედრა:

   სახელმწიფო ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები;

   მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრა რომლის შემადგენლობაში შედიან მათემატიკის და ისტ-ის მასწავლებლები;

   საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები;

   საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები;

   უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის, რუსული ენის მასწავლებლები;

   ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, სპორტისა და მუსიკის მასწავლებლები;

   დაწყებითი კლასების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დაწყებითი კლასების ქართული ენის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლევლები.

სკოლას ჰყავს ორი დარაჯი, ორი დამლაგებელი, ერთი ექიმი, საქმის მწარმოებელი, ბუღალტერი, ერთი ცეცხლფარეში . სკოლას ჰყავს დირექტორის არყოფნის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების კომპეტენცია და ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შესახებ ბრძანებაში, რომელიც მოიცავს თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფორმირების წესს და ფუნქციას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს /პირებს შორის პასუხისმგებლობა გაცნობიერებულია და გადანაწილებულია. თითოეული მათგანი კანონმდებლობის ფარგლებში ახორციელებს ბრძანებაში გაწერილ საკუთარ საქმიანობას, შესაბამისად ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში და ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობას. სტრუქტურული ერთეულების/პირების საქმიანობის მონიტორინგისა და ხარისხის მართვის მექანიზმების გამოყენებით, პერიოდულად შეფასდება თავისი ორგანიზაციული მოწყობის რელევანტურობა საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისთვის და საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება ცვლილებები სკოლის სტრუქტურაში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ბრძანება სტრუქტურულ ერთეულებზე;
თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის ბრძანება;
თვითმმართველობის ოქმი ;
მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
შრომითი ხელშეკრულება ;
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
საშტატო განრიგი;
დისციპლინური კომიტეტის ოქმი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც სრულად უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებულ როგორც ადმინისტრაციულ, ისე აკადემიურ პირთა ეფექტიან მართვას და მათ პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის --პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პრინციპებს და პოლიტიკას, პერსონალის სამსახურში მიღების წესს და პროცედურებს, რაც უზრუნველყოფს სკოლის საჭირო კადრებით დაკომპლექტებას. პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანი საშუალებას იძლევა ხელი შეეწყოს სკოლაში დასაქმებული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მოტივაციის ამაღლებას და კარიერულ ზრდას. სკოლის თანამშრომლებთან დადებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მათი უფლება და მოვალეობები დეტალურად. სკოლის შინაგანაწესი არის ხელშეკრულებების შემადგენელი ნაწილი. ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი და სხვა. საჭიროების შემთხვევაში ხდება მასწავლებელთა და თითოეული თანამშრომლის მხარდაჭერა: რესურსების მოძიება, პერსონალური ყურადღების მიქცევა, რომ თანამშრომლებმა შეძლონ პრობლემების მოგვარება. მასწავლებელთან/სპეციალური მასწავლებლის შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლამ ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვის მიმართულებები, მართვის მექანიზმები და პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები. აღნიშნული დოკუმენტი საშუალებას აძლევს სკოლას, რომ საჭიროების შემთხვევაში დაგეგმოს ინტერვენციული და პრევენციული ღონისძიებები, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლას მოქნილად შეუძლია პერსონალს შორის ფუნქციების გადანაწილება . სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პერსონალის სამუშაო ადგილზე

დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი და ამ წესის შესაბამისად მოქმედი რეგულაციები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მასწავლებლების შერჩევისას გათვალისწინებულია ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმისა და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითერების კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20.08 N174/ნ დადგენილების მოთხოვნები. პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. ღია კონკურსი ცხადდება http://teachersjobs.ge, სადაც აღწერილია აპლიკანტისადმი წაყენებული პირობები და სამუშაო აღწერილობა. შერჩევა ხდება სამ ეტაპად: აპლიკანტის შემოტანილი განცხადების გადარჩევისა და გასაუბრების საფუძველზე ხდება კონკურსის შედეგების განსაზღვრა. გასაუბრების კომისიაში გარდა სკოლის წამომადგენლებისა, არიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს , მასწავლებლის სახლის, მასწავლებელთა პროფესიული კავშირის და რესურსცენტრის წარმომადგენლები, მოწვეული სპეციალისტები, რაც ხაზს უსვამს კომისიის კომპეტენტურობას და პროცესის გამჭვირვალობას. პერსონალის მიღების შემდეგ მათთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული აქვს სკოლის აკადემიური და ადმინისტრაციული, ტექნიკური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვაკანსიის გამოცხადების დროს მითითებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თანამდებობას. სხვა შემთხვევაში აპლიკანტი ვერ გადალახავს საბუთების გადარჩევის ეტაპს და ვერ გადავა მეორე ეტაპზე. მიღებული პირები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას, რასაც მოწმობს მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები.სკოლაში არის 24 თანამშრომელი, მათ შორის 17 ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. სკოლაში 14 უფროსი მასწავლებელია, 3 მასწავლებელს სტატუსი არ აქვს.ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი: სკოლაში არის რამდენიმე მასწავლეველი,რომელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.კერძოდ, ქიმიას ასწავლის გეოგრაფიის მასწავლებელი, დაწყებით საფეხურზე სპორტს ასწავლის მასწავლებელი,რომელსაც ამის

უფლება არ აქვს დადასტურებული სტატუსით. რუსული ენის მასწავლებელი ასწავლის ხელოვნებას და პროექტულ სწავლებას ხელოვნებაში მე-11 კლასში, ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ასწავლის საგანს „მე და საზოგადოება“,მუსიკის მასწავლებელი ასწავლის პროექტულ სწავლებას სამოქალაქო განათლებაში მე-10 და მე-11 კლასში. სკოლაში არის ასევე 3 უსტატუსო მასწავლებელი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის დაკომპლექტება შესაბამისი კვალიფიციური კადრებით. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლა აპირებს ვაკანსიების გამოქვეყნებას და კვალიფიციური კადრებიშ შერჩევას 03.06.2026- 10.09.2026).

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით სკოლას აქვს ყველა თანამშრომლისთვის მკაფიოდ გაწერილი ფუნქციები, ორგანიზაციის ღირებულებები იძლევა საშუალებას, რომ სკოლაში იყოს კეთილგანწყობილი და თანამშრომლობის ატმოსფერო. თითოეული სტრუქტურული ერთეული მუშაობს თავისი დებულების შესაბამისად, გუნდურად იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებებს .

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია, გაზიარებულია საუკეთესო პრაქტიკა. შინაგანაწესში და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების ფორმები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ბრძანება კონკურსის გამოცხადებაზე

ბრძანება კომისიის შექმნაზე

სკოლის შინაგანაწესი

პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

თანამშრომლების პროფესიული  განვითარების სისტემა წარმოადგენს პერსონალის მართვის პოლიტიკის  შემადგენელ ნაწილს და მისი მიზანია ხელი შეუწყოს თანამშრომლების  უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით ხორციელდება მასწავლებლის საქმიანობაზე, მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე, დაკვირვება და შეფასება.  ხარისხის მხარდაერის და განვითარების ჯგუფი მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს და ეხმარება აქტივობების და ტრენინგების დაგეგმვაში.

**ინდიკატორი  შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

მასწავლებელთა საჭიროებები გამოიკვეთება  მასწავლებლის გაკვეთილზე დასწრების შედეგად, რის შესახებაც მასწავლებელს ეძლევა კონსტრუქციული უკუკავშირი და რეკომენდაცია გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. მასწავლებლებს  მიექოდება ინფორმაცია ვებინარების, ტრენინგების, რომელიც  შემოთავაზებულია მასწავლებელთა სახლის მიერ,შესახებ. ასევე ხდება სასწავლო  მასალებით უზრუნველყოფა, გამოცდილების  გაზიარება და სხვა.

**ინდიკატორი  შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის პროფესიული განვითარების მიზანია ხელი შეუწყოს თანამშრომლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციის ამაღლების გზით. ამ მიზნით დირექცია მუდმივად აცნობს მასწავლებლებს სიახლეებს, საკანონმდებლო აქტებს, ეხმარება რესურსების მოძიება-შეძენაში, სასწავლო მასალებით უზრუნველყოფაში, ხელს უწყობს მათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში მონაწილეობას, იზიარებს მათ განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს ეხმარება მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის სიახლეებისა და მასალების მოძიებაში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას დამტკიცებული აქვს ახალი თანამშრომლის სასწავლო პროცესთან ინტეგრაციის მექანიზმი. ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში აცნობენ სასკოლო საზოგადოებას, ათვალიერებინებენ გარემოს, აცნობენ შინაგანაწესს, შრომით ხელშეკრულებას , უხსნიან უფლება მოვალეობას და ეხმარებიან გარემოსთან ადაპტაციაში , პრობლემის არსებობის შემთხვევაში ეხმარებიან მის მოგვარებაში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია, მაგალითად სკოლა ბუღალტერს უფინანსებს ტრენინგს, რათა გაეცნოს სიახლეებს მის სფეროში, ასევე ხელს უწყობენ მასწავლებლებს შეხვედრების ორგანიზებაში. ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ლეპტოპი, პროექტორი და სკოლის სხვა რესურსი. აკადემიური მიზნებისთვის ღონისძიების დასაგეგმად შეუძლია გამოიყენოს შესაბამისი ოთახი. შინაგანაწესში და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების ფორმები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

პერსონალის მართვის დოკუმენტი

შინაგანაწესი

მასწავლებელთა თანხმობა

პერსონალთა ადაპტაციის მექანიზმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე -განავითარე, რომელიც არეგულირებს სწავლა-სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს სკოლა განვლილი სასწავლო წლის ანალიზის მიხედვით იწყებს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებას, რომელიც ეფუძნება საკანონმდებლო აქტებს, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ზოგადი განათლების შესახებ კანონს და ეროვნულ სასწავლო გეგმას. დოკუმენტი ასევე მოიცავს სასწავლო პროგრამების შეფასებას, ადამიანური რესურსის შეფასებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებას და სხვ. სკოლას აქვს ასევე კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას აქვს მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია: სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს მმართველობითი პროცესის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირებს და მხარეებს, აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, მონიტორინგს და შეფასებას. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულ მხარეებს , კურიკულუმის დანერგვის, მონიტორინგის და შეფასების პროცესებს. შინაგანაწესი, რომელიც აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს.. დამხმარე პროცესებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია: პერსონალის მართვის პოლიტიკა, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სადაც გაწერილია თითოეული სტრუქტურული ერთეულის : დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭოს ფუნქცია- მოვალეობები, საქმისწარმოების და ბიბლიოთეკის დებულებები, შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი და სხვ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესში დეტალურადაა აღწერილი პედაგოგებისა და მოსწავლეების დისციპლინარული გადაცდომების სახეობები, შესაბამისად გასაჩივრებისა და საჩივრების დროს სკოლა ეფუძნება აღნიშნულ დოკუმენტს. სკოლაში არსებობს საჩივრების განხილვის სტრუქტურული ერთეულები - დისციპლინური კომიტეტი. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს გასაჩივრების დეტალური პროცედურები, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებას, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და არამართლზომიერი ქმედებები. განსაზღვრულია საჩივრების განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტი, წარმომადგენლობის უფლება, საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, განსაზღვრულია საჩივრის ფორმა, თუმცა სასკოლო საზოგადოების მხრიდან გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

   სკოლაში მოქმედებს მოსწავლის მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი მაგ: სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულება ეხება გასაჩივრების პროცედურებს, რომელიც განსაზღვრავს გასაჩივრების უფლების მქონე პირებს და სტრუქტურებს, ასევე მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა საჩივრების

განხილვის მექანიზმებს. მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ წერილობითი საჩივრით მიმართონ სკოლის დირექტორს ორი კვირის განმავლობაში, რაც მისთვის ცნობილი გახდა უფლების დარღვევის შესახებ, დირექტორი განიხილავს საჩივარს და მისი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში. სამეურვეო საბჭო განიხილავს საჩივარს ერთი თვის ვადაში.

სკოლაში თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, არის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და მოსწავლეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ ასევე სკოლის დირექტორს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტრუქტურული ერთეულების დებულება
პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
სკოლის შინაგანაწესი

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა საზოგადოების ინფორმირების მიზნით იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც განთავსებულია ინფორმაციები სკოლის შესახებ, განვითარების ერთწლიანი და შვიდწლიანი გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია , მხარდამჭერი პროგრამები და სხვა. სკოლის შიდა სივრცე, სადაც გამოკრულია შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები გამოიყენება დაინტერესებული პირების ინფორმირებისთვის. მშობლები ინფორმირებულები არიან სკოლაში მიმდინარე პროცესებზე მშობელთა კრებების საშუალებით, სადაც პირისპირ შეხვედრების დროს ხდება მშობლებისგან უკუკავშირის მიღება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. კანონმდებლობის შესაბამისად კოლეგიალური ორგანოები ჩართული არიან სასკოლო ცხოვრების დაგეგმვასა და წარმართვაში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტრუქტურული ერთეულების დებულება
მრჩეველთა საბჭოს ოქმები
სამეურვეო საბჭოს ოქმები
პედსაბჭოს ოქმები
სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ეზო შემოღობილია, სკოლას ჰყავს ორი დარაჯი, მორიგე მასწავლებლები უზრუნველყოფენ დასვენებებზე წესრიგის დაცვას. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით სამივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. ცეცხლმაქრები განთავსებულია სამივე სართულზე, მაგრამ ვიზიტის დროს ცეცხლმაქრები არ იყო გადატუმბულ. სკოლას ბრძანებით შექმნილი აქვს საგანგებო შტაბი, აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც გაგზავნილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შესათანხმებლად. სკოლამ მიმართა წერილობით უფლებამოსილ უწყებას შენობა ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის შესახებ. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე არ არის დამონტაჟებული არცერთი ვიდეოსამეთვალყურეო კამერა. შესაბამისად, ვერ ხორციელდება ვიდეოდაკვირვება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" 41-ე მუხლის მოთხოვნა.სკოლას არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტიაციების მართვის გეგმა. ვიზიტის დროს დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი: სამხარაულის ეროვნულ ბიუროს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის შემუშავების მიზნით მიმართვის შედეგად მიღებულია დასკვნა, სადაც წერია რომ,შენობის უსაფრთხოების მდგომარეობა არის არადამაკმაყოფილებული.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია:** მოხდეს ვიდეოსათვალთვალო კამერების დამონტაჟება (შესაბამისობის გეგმის მიხედვით 01.03.2026-01.03.2028)

მოხდეს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება (შესაბამისობის გეგმის მიხედვით 20.02.2026-01.06.2027).

სკოლამ მიმართოს შესაბამის ორგანოებს სკოლის შენობის რეაბილიტაციის მიზნით, რადგან,სამხარაულის ეროვნული ბიუროს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნაში წერია რომ,შენობის უსაფრთხოების მდგომარეობა არის არადამაკმაყოფილებული. ( შესაბამისობის გეგმის მიხედვით 04.06.2026- 04.06.2028)

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, სკოლს ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი .აქვს შესაბამისი ვადიანი მედიკამენტები და სამედიცინო აღჭურვილობა და შეუძლია პირველადი დახმარების გაწევა.ექსპერტთა ვიზიტის დროს სამედიცინო კაბინეტში არ იყო განათლების მინისტრის და ჯანდაცვის მინისტრის ერთობლივი 41/ნ ბრძანების შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალები. ექსპერტთა ვიზიტის დროს ეს ხარვეზი იქნა გამოსწორებული. სკოლა ვერ ახერხებს მედიკამენტების შეძენას, ხდება მედიკამენტეების შეძენა უშუალოდ სკოლის ექიმის მიერ. სკოლას მიეცა რჩევა, განახორციელოს მედიკამენტების შეძენა შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლამ შეიმუშავა უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ. დოკუმენტში გაწერილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კერძოდ, ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარება, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა, ინფორმირებულობის უზრუნველყოფას, სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მორიგე მასწავლებლები და დამრიგებლები უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას დასვენებებზე. ასევე სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი, შემუშავებულია რეფერირების წესი, დამტკიცებულია ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული რეფერირების წესი და პასუხისმგებელი პირი, შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების დისციპლინური დევნის სახდელები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით საკითხებზე, ბულინგის აღკვეთის ღონისძიებებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს, მოსწავლეთა მცირე რაოდენობის გამო ნებისმიერ მათგანთან ურთიერთობა, ყურადღების გამოხატვა და მხარდაჭერაა შესაძლებელი. მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის ყველა რესურსით, სპორტული ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკით, ბიბლიოთეკით, სპორტული

მოედნით. ყველა მოსწავლეს აქვს აზრის გამოთქმის უფლება, იციან როგორ ფასდებიან, იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, ჩართული არიან სასკოლო აქტივობებში, სპორტულ შეჯიბრებებში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას ჰყავს ორი დამლაგებელი, რომელიც უზრუნველყოფს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას. შენობის სამივე სართული, დერეფნები და სველი წერტილები მუშავდება სველი წესით. სველი წერტილებში მუდმივად არის თხევადი საპონი, ტუალეტის ქაღალდი, ხელსახოცი, ნაგვის ურნა. დამლაგებლის უფლება-მოვალეობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში. სკოლის ექიმი ჩართულია და ზედამხედველობას უწევს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და გამოყოფილია ბრძანებით პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი გამოიყენება სკოლის მიერ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და ვრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესში განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები, საფუძვლები, მონაცემთა სუბიექტები, ასევე მონაცემთა სუბიექტის უფლებები, რა შემთხვევაში შეიძლება მონაცემთა გამჟღავნება და მონაცემთა შენახვის ვადები. დაცულია მონაცემთა უსაფრთხოება და განსაზღვრულია მონაცემთა წვდომაზე პირები. განსაზღვრულია სკოლის თითოეული თანამშრომლის ვალდებულებები - რომ დაამუშაონ მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც აუცილებელია მათი ფუნქციების შესასრულებლად, გამოიყენონ მხოლოდ მათთვის განკუთვნილი მომხმარებლის სახელი და პაროლი და სხვ. სკოლას ჰყავს პერსონალ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი განსაზღვრავს მონაცემების კონფიდენციალურობას, მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები საჭიროა საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. გარდა ამისა, თანამშრომლების ელექტრონული ფოსტის ინფორმაციას იცავს ორმაგი ავტორიზაციის სტანდარტი. აკრძალულია მომხმარებლის სახელის და პაროლის ვინმესთვის გამჟღავნება და სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებულები არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა გაცემაზე პერიოდულ ანგარიშს, სკოლის დირექტორი ანგარიშს წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ მინისტრს, სადაც გაანალიზებულია სკოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა მოთხოვნაზე გაცემული პასუხი: რამდენი მოთხოვნა იყო შემოსული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რამდენი დაკმაყოფილდა და რამდენს ეთქვა უარი .

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ხელშეკრულებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი

სკოლის შინაგანაწესი

გაგზავნილი წერილები

საგანგებო სიტუაციების გეგმა

უსაფრთხოების პოლიტიკა

უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი

რეფერირების წესი

თამბაქოს მოხმარების აკრძალვა

სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი

მრჩეველთა საბჭოს ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   სკოლის შენობა სამსართულიანია. პირველ სართულზე დაწყებითი კლასები, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი და სველი წერტილებია განთავსებული. მეორე სართულზე არის , სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბუღალტერის კაბინეტი, საკლასო ოთახი, რომელიც გამოიყენება სპორტის ოთახად, ვინაიდან სკოლას არ აქვს სპორტ დარბაზი. საკლასო ოთახები აღჭურვილია ორადგილიანი მერხებით, დაფებით. შენობა თბება შეშის ღუმელებით, ვინაიდან სოფელი საერთოდ არ არის გაზიფიცირებული ამ ეტაპზე. შენობაში არის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. სკოლას აქვს საერთო სარგებლობის სივრცეები, მაგ: ფილმის ოთახი, სადაც ღონისძიებები იმართება. სკოლის მასწავლებლები სარგებლობენ წლების წინ დარიგებული ბიკებით, ასევე მოსწავლეების ნაწილი იყენებს მათ ხელთ არსებულ ბუკებს. სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი. ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი: სკოლას დოკუმენტებით და ადგილზე დათვალიერებით აქვს 45 საკუთარი ორადგილიანი მერხი და 20 ერთადგილიანი მერხი, რომელიც გადმოცემულია სხვა სკოლიდან დროებით სარგებლობაში. სკოლაში არის კომპიუტერები დირექტორის კაბინეტში, სამასწავლებლოში, მცირე ფართის ოთახში, სადაც ტარდება ისტის გაკვეთილები არის 1 კომპიუტერი და 2 ლეპტოპი, სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, არ არის საბუნებისმეტყველო საგნებში ექსპერიმენტის და ცდების ჩასატარებელი რესურსები.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია:** უზრუნველყოს მოსწავლეთა რაოდენობისთვის შესაბამისი მერხების და კომპიუტერების რაოდენობა. ( შესაბამისობის გეგმის მიხედვით03.06.2026- 03.06.2027)

სკოლაში მოეწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ( შესაბამისობის გეგმის მიხედვით 03.06.2026- 03.05.2028)

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები მოწესრიგებულია, სააქტო დარბაზი სკოლას არ აქვს, მაგრამ ამ ფუნქციას ითავსებს ერთ-ერთი საკლასო ოთახი. სკოლას აქვს აგრეთვე გარე სპორტული მოედანი.,

რესურსების და მოწყობილობების სიმცირის მიუხედავად, მასწავლებლები მიზნის მისაღწევად აქტიურად იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს და სხვადასხვა ინტერნეტ- რესურსებს.

ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერი დგას ასევე სამასწავლებლოში და მასწავლებლებს თავისუფლად შეუძლიათ გამოიყენონ სამუშაო პროცესისათვის.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველ სართულზე და მუშაობს დამტკიცებული ბიბლიოთეკის წესის შესაბამისად. წიგნები დანომრილი და აღწერილია, ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს და მასწავლებელს. ბიბლიოთეკის დებულებაში გაწერილია, ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენების და სარგებლობის წესები, საქმიანობის ძირითადი პრინციპები, რესურსის გატანა-დაბრუნების მექანიზმი, მკითხველის უფლება-მოვალეობები, ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა კლასის სახელმძღვანელო. აღსანიშნავია რომ, ბიბლიოთეკა არის მოწესრიგებული, მაგრამ არ არის ფართი სამკითხველო დარბაზისთვის. ასევე წიგნადი ფონდის ნაწილი არის მოძველებული, არ გამოიყენება მოსწავლეების და მასწავლებლების მიერ, ასევე წიგნების ნაწილი იყო დასველებული და არის სოკოს გავრცელების საშიშროება. სკოლას მიეცა **რჩევა:** მოხდეს წიგნადი ფონდის განახლება, დაზიანებული წიგნების გადატანა უსაფრთხო ადგილას..

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა ცდილობს შექმნას სწავლის ინკლუზიური გარემო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე არ გვყავს სსსმ მოსწავლე, გვაქვს ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლაში არ არის პანდუსი. ამ ეტაპზე არ არის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი რესურს ოთახი.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს პანდუსის და რესურსებით აღჭურვილი რესურს-ოთახის მოწყობა ( შესაბამისობის გეგმის მიხედვით 01.03.2026- 01.03.2027)

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

   სკოლაში არსებობს საერთო სარგებლობის სივრცეები: ფილმის ოთახი, ბიბლიოთეკა, ამ სივრცეების არსებობა მოსწავლეებს და მასწავლებლებს საშუალებას აძლევს დაგეგმონ სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობა. გარე სპორტული მოედანი, ეზო იძლევა საშუალებას შემოქმედებითი და სპორტული ღონისძიებების ჩატარებისთვის. ფილმის ოთახში იმართება სხვადასხვა ღონისძიებები. სპორტის მასწავლებელი მეგობარი სოფლის სკოლის მოსწავლეების ჩართულობით ხშირად გეგმავს ამხანაგურ შეჯიბრებებს სკოლის მოსწავლეებთან. ზაფხულის პერიოდშიც სოფლის მოსახლეობა სარგებლობს აღნიშნული რესურსით.

მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სპორტულ ოლიმპიადაში და კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა სპორტული აქტივობები შეასრულეს. სკოლაში ხშირად ტარდება ინტელექტუალური თამაში 'რა სად როდის'? გამარჯვებული გუნდები ჯილდოვდებიან სხვადასხვა პრიზებით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

პედაგოგები აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის სკოლაში არსებულ ლეპტოპს, პერსონალურ კომპიუტერებს, პროექტორს და პრინტერს. იყენებენ  და ქმნიან ელექტრორესურს. ყოველივე ეს ხელს უწყობს სკოლაში ერთიანი ციფრული ეკოსისტემის ჩამოყალიბებას. ინფორმაციული ტექნოლოგიები სკოლის ციფრული ტექნოლოგიის ერთ-ერთი ნაწილია, გარდა სავალდებულო ელ.ჟურნალისა , სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას, კერძოდ: მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის გახალისებას/გამრავალფეროვნებას და მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის გამარტივებულ კომუნიკაციას.

**ინდიკატორი  შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის ფილმის ოთახში არსებული ლეპტოპი, პროექტორი, პრინტერი და შენობაში დამონტაჟებული ინტერნეტი იძლევა პერსონალის განვითარების შესაძლებლობას. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის მიზანია სკოლაში არსებული კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. სკოლაში არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს. ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისა და დანერგვის პროცესში განიხილება მოსწავლეების და მასწავლებლების წინადადებები, იდეები და საჭიროებისამებრ ხდება მათი დანერგვის პროცესში ხელშეწყობა.

**ინდიკატორი  შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ბრძანება მატერიალური რესურსების სარგებლობის წესის შესახებ

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც აწარმოებს და ინახავს თანამშრომელთა პირად საქმეებს, სკოლის მოსწავლეთა პირად საქმეებს, უზრუნველყოფს შემოსული და გასული კორესპონდენციის მიღებას დამუშავებას და ადრესატამდე მიწოდებას. სკოლაში წარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაცია, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eflow) მეშვეობით. სკოლაში იწარმოება შემოსული და გასული დოკუმენტების, საკადრო და საერთო ბრძანებების და ხელშეკრულებების აღრიცხვა შესაბამის, ზონარგაყრილ, დალუქულ ჟურნალებში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება გამართული თანამდეროვე ტექნოლოგიები: eflow.emis.ge სისტემა, მართვის საინფორმაციო სისტემა eschool.emis.ge, სკოლის ელექტრონული ფოსტა khani@mes.gov.ge ხელმოწერის ელექტრონული სისტემა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს გამართული, სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool.emis.ge, სადაც ასახულია ზუსტი ინფორმაცია სკოლის შესახებ, საგნების განაწილება, გაკვეთილების ცხრილი, სკოლის ბარათი, საშტატო განრიგი, სამეურვეო საბჭოს შედეგები. შესაძლებელია მოსწავლეთა მობილობისა და სახელმძღვანელოების შერჩევა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციებს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს: განათლების სამინისტროს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, საგანმანათლებლო რესურსცენტრს. მაგალითად სკოლის დირექტორი ანგარიშს წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ მინისტრს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ და სხვა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
საქმისწარმოების წესი

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს საზოგადოების ინფორმირებისა და მის წინაშე ანგარიშგებისათვის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა. სკოლის სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლა უახლოეს მომავალში გეგმავს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსებას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის განხორციელებული თუ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების, პროექტების, აქტივობების, ღონისძიებების შესახებ არის სანდო. სკოლის ფისბუქ გვერდს მართავს სკოლის პედაგოგი, რომელიც დამრიგებლებისგან იღებს ინფორმაციას ამა თუ იმ ღონისძიების შესახებ, ამოწმებს დირექტორთან და მხოლოდ შემდეგ, რომ დარწმუნდება ინფორმაციის ვალიდურობაში, აქვეყნებს და ხდის ინფორმაციას საჯაროს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ინფორმაციის დადასტურება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა მუდმივ კომუნიკაციაში არის მშობლებთან და საზოგადოების სხვა წევრებთან, მათ შეუძლიათ ნებისმიერ საკითხზე მიმართონ დირექციას პირადად და ასევე შეუძლიათ მიწერონ სოციალური ქსელის საშუალებით, სკოლის ელექტრონული

ფოსტის მეშვეობით დააფიქსირონ აზრი. .სკოლა მომავალში გეგმავს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოკითხვა ჩაატაროს და უკუკავშირის საფუძველზე გაუმჯობესოს საქმიანობის ხარისხი. სამეურვეო საბჭოში არის არჩეული მშობელთა წარმომადგენელი და შეუძლიათ მათი მეშვეობითაც მიაწოდონ ინფორმაცია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ფეისბუქ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე; სოციალური ქსელის არხი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

სკოლას, ასევე, აქვს ოფიციალური ვებ გვერდი პლატფორმაზე skolebi.emis.ge, რომელზეც უახლოეს მომავალში გეგმავს ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსებას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ გვერდი პლატფორმაზე skolebi.emis.ge, რომელზეც უახლოეს მომავალში გეგმავს ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსებას.ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი: ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი არ შეიცავს სრულყოფილ ინფორმაციას სკოლის შესახებ.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**: სკოლის ვებ გვერდზე მოხდეს სრული ინფორმაციის განთავსება სკოლის შესახებ ( შესაბამისობის გეგმის მიხევით 03.06.2026- 10.09.2026)

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სოციალური ფეისბუქ გვერდი.

ელექტრონული ფოსტა khani @mes.gov.ge

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;

ვებ გვერდი skolebi.emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

ყოველი წლის 20 ნოემბრამდე სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით მტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების ფორმა და წესი და სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. გეგმა შედგენილია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანების შესაბამისი აქტივობების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსის უზრუნველყოფით. ასევე წლის ბოლოს სკოლის სამეურვეო საბჭოზე ხდება მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენამდე დგება სასკოლო საზოგადოების სხდომა, რომელსაც ესწრებიან დირექცია, ადმინისტრაცია, ტექ-პერსონალი და პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლები. მათ ევალებათ თავიანთი საქმიანობის შესაბამისად სკოლის დოკუმენტბრუნვის სისტემის ეფლოუს მეშვეობით მიაწოდონ ინფორმაცია სკოლის დირექციას სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალების , რესურსების, სანიტარულ-ჰიგიენური პროდუქციის საჭიროების და რაოდენობის შესახებ. რის საფუძველზეც დგება შემოსული ინფორმაციის ანალიზის დოკუმენტი და შესყიდვების

კოორდინატორს ევალება ბაზრის კვლევა. ბაზრის მოკვლევის შემდეგ კი შემუშავდება შესყიდვების გეგმა, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტით. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ სკოლის დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წლის ბოლოს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შესყიდვების წესი და ფორმა

შესყიდვების გეგმა

სამეურვეოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლეთა უფლება-ვალდებულებებს არეგულირებს შინაგანაწესი, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მისი ერთ-ერთი მიზანია მოსწავლის უფლებებისა და გარანტიების დაცვა საყოველთაოდ მიღებული სტანდარტებით. შინაგანაწესში დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომისთვის პასუხისმგებლობის სახეები, შენიშვნა, გაფრთხილება, საყვედური, სკოლიდან დროებით დათხოვნა, სკოლისთვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება და სხვა რეგულაციები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებულ უფლებების დაცვას სკოლა უზრუნველყოფს შემდეგი რეგულაციებით: სკოლის შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ ხელმისაწვდომია და გამჭირვალეა ყველა დაინტერესებული პირისათვის და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს მშობლებს და მოსწავლეებს შინაგანაწესს. იგი ასევე გამოკრულია სკოლის ფოიეში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა კლასის დამრიგებლების დახმარებით მშობელთა კრებაზე მშობლებთან აფორმებს ხელშეკრულებას სკოლასა და მშობელს შორის. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, რომ სკოლა სასწავლო პროცესის განმავლობაში უზრუნველყოფს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს, აკონტროლებს მოსწავლეთა დასწრებას, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის მისიის შესაბამისად, იყენებს თავის უფლებას მოსთხოვოს მშობელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების და შინაგანაწესის შესრულება და სხვ. სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულებით მშობელი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობასაც.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მშობელთა კრების ოქმები

ხელშეკრულება მშობელსა და სკოლას შორის

მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი

მოსწავლის, პერსონალის უფლებების დაცვის დოკუმენტი

სასკოლო სასწავლო გეგმა

შინაგანაწესი

მშობელთა თანხმობა

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას მინისტრის ბრძანების და კანონმდებლობის შესაბამისად, ბრძანებით დამტკიცებული აქვს (ბრძანება N 2-05. 2025 წლის 15 იანვარი) სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, აღდგენის და მობილობის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები; აღნიშნულ წესში ასახულია როგორ ხდება და რა პროცედურების დაცვით პირველ კლასში მოსწავლის მიღება, სტატუსის შეჩერება, სტატუსის აღდგენა, მობილობის პროცედურები. მოსწავლეს სტატუსი უჩერდება 45 სასწავლო დღის განმავლობაში თუ არ გამოცხადდა სკოლაში, ამ შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა, სკოლა ვალდებულია მიიღოს პრევენციული ღონისძიებები, სტატუსის აღსადგენად მშობელმა უნდა მიმართოს სკოლას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა მუდმივად თვალს ადევნებს და ითვალისწინებს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა; სკოლაში წარსადგენი საჭირო

დოკუმენტაციის თაობაზე; მოსწავლეთა მობილობის თაობაზე; სტატუსის შეჩერებისა თუ შეწყვეტის თაობაზე; საფეხურის დაძლევის თაობაზე; მოსწავლეთა რეგისტრაციის ეტაპებისა და სხვადასხვა საფეხურზე ჩარიცხვის თაობაზე ინფორმაციის დროული გაცნობა და გამოქვეყნება. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის მობილობის მექანიზმებს. უახლოეს წარსულში სკოლას არ აქვს მოსწავლის სტატუსის შეჩერების პრაქტიკა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა მოსწავლეებს დამატებით ფასიან მომსახურეობას არ სთავაზობს. სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა წრე, ყველას აქვს შესაძლებლობა წინასწარ გაეცნოს სკოლის მიერ შეთავაზებულ სიახლეებს. სკოლაში მეხუთე კლასიდან მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მეორე უცხო ენა, ამიტომ სკოლა იღებს მშობლიდან თანხმობას და მეორე უცხო ენის არჩევა ხდება მშობელთა კრებაზე. ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნების შესახებ მშობელს ინფორმაცია მიეწოდება სასწავლო წლის ბოლოს მშობელთა კრებაზე და აქვს არჩევანის საშუალება. ინფორმაცია შეიძლება გამოკრული იყოს სკოლის შიდა სივრცეში, ან მიეწოდოთ სოციალურ ქსელის საშუალებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ დაგეგმილი ნებისმიერი აქტივობა, ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია სოციალურ ქსელში ან ვებგვერდზე, არის გამჭვირვალე და განახლებული, ის სასკოლო საზოგადოებისთვის, მშობლებისთვის მოსწავლეებისთვის არის ცნობილი და ხელმისაწვდომი და ყველას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან და ისინი მუდამ ინფორმირებული არიან სკოლის სხავადასხვა მომსახურეობების სიახლეებით, შეუძლიათ ისარგებლონ სასკოლო რესურსით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მოსწავლის ჩარიცხვის და სტატუსის შეჩერების დოკუმენტი

ბრძანებები ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის

დამრიგებლის მუშაობის დებულება
ოქმი მეორე უცხო ენაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლაში პირველად შემოსულ და სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეს სასკოლო გარემოსთან გაცნობასა და შეგუებაში. ადაპტაციის წესში გაწერილია სკოლაში პირველად შემოსულ მოსწავლეს როგორ ვაცნობთ დამრიგებელს, გარემოს, სად რა მდებარეობს, რა შეიძლება ატაროს, როგორ დაისვენოს, სკოლის ტრადიციას. პირველკლასელი მოსწავლე მე-12 კლასის მოსწავლესთან ერთად რეკავს სკოლის ზარს და სხვა. გადმოსულ მოსწავლეს როგორ შეუწყოს ხელი კლასთან ინტეგრაციაში, მშობელთან ურთიერთობას როგორ დაამყარებს , რა საკითხებზე ჩაატარებს დამრიგებელი აღმზრდელობით საათს და როგორ დაამატოს მოსწავლე საერთო სოციალურ ჯგუფში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა დასახლებაში ერთადერთია, მას არ აქვს კონკურენტული გარემო, შესაბამისად მოსწავლეები კარგად იცნობენ სასკოლო გარემოს. თუმცა სკოლა ბაღის მოსწავლეებისთვის აწყობს ღია კარის დღეებს, რათა მათ გაუადვილონ სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია. სკოლაში მოსვლის პირველ დღეებში მოსწავლეებს მასწავლებლები სახალისო აქტივობების საშუალებით უადვილებენ სასწავლო პროცესთან და სკოლის ტერიტორიაზე ადაპტაციას. მობილობით სკოლაში გადმოსულ მოსწავლეს კლასის დამრიგებელი აცნობს სკოლის შინაგანაწესს, ინფრასტრუქტურას, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, სასკოლო თვითმმართველობას, უხსნის გასაჩივრების დეტალურ პროცედურებს და აცნობს კლასსა და სკოლას. მუდმივად თანამშრომლობს მასთან და მშობელთან. მშობლის უკუკავშირს იყენებს აქტივობების დაგეგმისთვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მიღწევების შესაფასებლად სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ ისე განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლები მიმართავენ უმეტესად როგორც ზეპირ განმავითარებელ ასევე წერილობით განმავითარებელ კომენტარს. დამრიგებლები მუდამ მზად არიან მოსწავლეთა მხარდასაჭერად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია პროცედურა თუ როგორ უნდა დაეხმაროს სკოლა მოსწავლეს, რომელმაც საგნის წლიური ქულა მიიღო 5-ზე ნაკლები იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5 ზე ნაკლები და სჭირდება დახმარება. ამ შემთხვევაში სკოლა უნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში. გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან ორი კვირის განმავლობაში ან მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, გამოცდამდე სკოლა კონსულტირებას გაუწევს მოსწავლეს, და მოსწავლე საგნის წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე. თუმცა ასეთი შემთხვევა სკოლას არ ჰქონია, რადგან მასწავლებლები ცდილობენ დამატებითი ინდივიდუალური მუშაობით მოსწავლეებს მანამდე გაუწიონ კონსულტაცია და დაეხმარონ შედეგების გაუმჯობესებაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც თავისი დებულების ფარგლებში შეუძლია მიმართოს ინიციატივებით სკოლის დირექციას, ასევე მოსწავლეს თავისი უფლებების დაცვასა და ინიციატივების გამოჩენაში სკოლა უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. სკოლამ უნდა უზრუნველყოს სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობა და საინფორმაციო კამპანიის გაწევა და ყველა შესაძლო რესურსით დაუჭიროს მხარი მათ წამოწყებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

. .სკოლისათვის პრიორიტეტია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. მიუხედავად მოსწავლეთა მცირე კონტიგენტისა, შექმნილია ინტელექტუალური კლუბი, რომელიც აქტიურად მუშაობს მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციისთვის, შეხვედრებზე განიხილავენ აქტუალურ თემებს, მიმდინარეობს მხატვრული ლიტერატურის ანალიზი და აკეთებენ პრეზენტაციებს, მოსწავლეთა ინიციატივების გასათვალისწინებლად სკოლა მიმართავს სხვადასხვა გზას, ხშირად მართავს შეხვედრას მოსწავლეებთან, ისმენს მათ ინიციატივებს, საჭიროებებს და ამის მიხედვით იგეგმება სხვადასხვა აქტივობები. დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე გაწერილია პასუხისმგებელი პირები, ვადები, რესურსები და დაგეგმილი აქტივობები დაანონსებულია სოციალური გვერდის საშუალებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა დაინტერესებულია და მუდმივად ითვალისწინებს მოსწავლეთა შეხედულებებს. სურვილებს და ინტერესებს, საჭიროებებს სხვადასხვა მომსახურეობების გაწევისას და ატარებს როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ შეხვედრებს, რათა დაადგინოს როგორია მოსწავლეების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ არაფორმალურ აქტივობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართულობა და თანამონაწილეობა. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ სკოლა მოსწავლეებს რთავს არა მხოლოდ აქტივობებისა და მომსახურებების დაგეგმვის, არამედ შეფასებისა და გადასინჯვის პროცესშიც. სკოლა იყენებს ზეპირი გამოკითხვის ფორმებს მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი

სასკოლო სასწავლო გეგმა

მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სამოქალაქო განათლების მასწავლებელი პროექტის ფარგლებში დეტალურად განიხილავს საბაზრო მოთხოვნებს პროფესიული კუთხით და კონკრეტული მოთხოვნადი სპეციალობების სავალდებულო კვალიფიკაციებს, სადაც იკვეთება სხვადასხვა საგნის სწავლების აქტუალობაც. სკოლას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც მიზნად ისახავს ერთის მხრივ უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოცდილებით გამდიდრების , მათი კვალიფიკაციის ამაღლების , პროფესიული უნარ ჩვევების გაღრმავების და მეორეს მხრივ სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ დაგეგმილი პროექტის განხორციელებაში აქტიურად იქნებიან ჩართული მოსწავლეთა მშობლები, რომლებიც სკოლის სოციალური გვერდიდან რეგულარულად მიიღებენ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ საბაზო ან საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ სად იქნება შესაძლებელი მოსწავლეთა პროფესიული კუთხით განვითარება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირს და მიღებული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ იგეგმება შესაბამისი აქტივობები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მემორანდუმი უნივერსიტეტთან

მშობელთა კრებების ოქმები

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

   სასკოლო სასწავლო გემაში სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, , რომელიც რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა მზადაა საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს აღნიშნულით.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში შექმნილია ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ წრე, ასევე მხატვრული ლიტერატურის ჯგუფების წრეები, სადაც მოსწავლეები მონაწილეობენ შემეცნებით, ანალიტიკურ და შემოქმედებით აქტივობებში, ავითარებენ კრიტიკულ აზროვნებას, კითხვის კულტურას, არგუმენტირებული მსჯელობისა და გუნდური მუშაობის უნარებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების სივრცე, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა უყურონ ფილმები აქტუალურ თემებთან დაკავშირებით ასაკის შესაბამისად და შემდგომ განიხილონ მრავალმხრივი გზით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლას არ აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა. საჭიროების შემთხვევაში მომსახურება განხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და გაითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო წრეების დებულებები და გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>დაწყებითი საფეხური | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საბაზო საფეხური | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საშუალო საფეხური | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ სკოლის დირექტორის 2026 წლის 3 თებერვლის N 2-04 ბრძანებით დაამტკიცა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტი სასკოლო საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას, კურიკულუმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების თუ რევიზიის ეტაპზე გაითვალისწინონ საკუთარი ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის დანერგვა მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია. ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების სამივე წახნაგი ღებულობს მონაწილეობას, თუმცა, პასუხისმგებლობის ცენტრი გადადის კათედრის თავმჯდომარეებზე და დირექციაზე რომლებიც პასუხს აგებენ სასწავლო პროცესების მიმდინარეობაზე და ხარისხის უზრუნველყოფაზე. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

.სკოლაში არსებული კათედრები სასწავლო წლის დასაწყისში იკრიბებიან და მსჯელობენ წინა სასწავლო წელს მიღებულ შედეგებზე და გამოწვევებზე. კლასების დამრიგებლებისაგან და მასწავლებლებისაგან ისმენენ ყველა იმ მოსაზრებას, რომელიც სასკოლო აქტივობების ფარგლებში იყო მოპოვებული. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იქმნება ახალი კურიკულუმები. დამრიგებლები მშობელთა და მოსწავლეთა მოსაზრებებს წარმოადგენენ შეხვედრებზე. კათედრებზე დამუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებს შეაჯერებენ პედაგოგიურ საბჭოზე, რათა დოკუმენტში საბოლოოდ იქნეს გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

.კურიკულუმის შემუშავების პროცესში უმთავრესი როლი ეკისრება მასწავლებლებსა და კათედრებს, რომლებიც უშუალოდ ქმნიან დოკუმენტს. ამ პროცესში ჩართულები არიან კლასის დამრიგებლები, რომლებიც მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესებსა და გამოწვევებს წარმოადგენენ კათედრებისა და პედაგოგიურ საბჭოზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, რათა სკოლამ შეძლოს კურიკულუმისთვის საჭირო მატერიალური რესურსების უზრუნველყოფა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის ძირითად ნაწილს ზეპირად აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
საგნობრივი კურიკულუმები
კათედრების შეხვედრის ოქმები

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ შემუშავებული **საბაზო საფეხურის** საბუნებისმეტყველო კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ საშუალო (ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის) კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ საკითხებს/ საკითხთა კლასტერს უკავშირდება. ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის კურიკულუმების ჩარჩოებში, აგრეთვე, მაგალითი შედარებისათვის, შუალედური სასწავლო მიზნები კურიკულუმის ჩარჩოებში დამატებით ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და რესურსები. აღსანიშნავია, რომ რიგ ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები, ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა:**<br><br>• **საბაზო საფეხურის <u>ბიოლოგიის</u> მე-7 კლასის კურიკულუმში ყველა თემის ფარგლებში ასახოს ოთხივე სამიზნე ცნებები. მე-7 და მე-8 კლასების კურიკულუმებში შეავსოს "კონტექსტ-მაგალითების" და "მაგალითი შედარებისთვის" სვეტები. მე-7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმებში გაასწოროს სამიზნე ცნება- "სტრუქტურა და ფუნქციის" ნაცვლად ასახოს "სტრუქტურა, ფუნქცია"; <u>ფიზიკის</u> მე-7 კლასის კურიკულუმში** |

| | |
|---|---|
| | **მკაფიოდ აისახოს მხოლოდ სამი თემა "ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები", "თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა", "ძალა და წნევა" და საკითხები გადანაწილდეს ამ თემების ფარგლებში, აგრეთვე თითოეულ თემაში აისახოს შეაბამის სვეტში ყველა სამიზნე ცნებები შესაბამის ქვეცნებებით. მე-9 კლასის კურიკულუმში დაკორექტირდეს პირველი თემის დასახელება "არათანაბარი და აჩქარებული მოძრაობის" ნაცვლად აისახოს - "არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა"**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია**<br><br>სკოლის მიერ შემუშავებული **საშუალო საფეხურის** საბუნებისმეტყველო კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ საშუალო (ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის) კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც გამოყოფილ საკითხებს/ საკითხთა კლასტერს უკავშირდება. ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის კურიკულუმების ჩარჩოებში, აგრეთვე, მაგალითი შედარებისათვის, შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეების სახით. კურიკულუმის ჩარჩოებში დამატებით ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და რესურსები. აღსანიშნავია, რომ რიგ ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები, ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა:**<br><br>• **საშუალო საფეხურის <u>ბიოლოგიის</u> მე-11 კლასის კურიკულუმში შეავსოს "კონტექსტ-მაგალითების" და "მაგალითი შედარებისთვის" სვეტები. მე-10, მე-11 კლასების** |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმებში გაასწოროს სამიზნე ცნება- "სტრუქტურა და ფუნქციის" ნაცვლად ასახოს "სტრუქტურა, ფუნქცია". მე-12 კლასის არჩევითი საგანი "სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობას" კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსი, სასურველია, ასახოს მომავალში სკოლის მიერ შემუშავებულ ერთიან კურიკულუმის ფორმაში. ფიზიკის მე-11 კლასის კურიკულუმში დაკორექტირდეს მეორე თემის დასახელება "მექანიკური რხევები და ტალღების" ნაცვლად ასახოს "რხევები და ტალღები". ქიმიის მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმებში შეავსოს "კონტექსტ-მაგალითების" და "მაგალითი შედარებისთვის" სვეტები.<br><br>• სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებში მეტი ვიზუალური და გასაგები ინფორმაციის აღქმის მიზნით, განიხილოს უნიფიცირებული კურიკულუმის ჩარჩოს ტაბულის გაფორმების მიდგომები, მაგალითად, სათაურისა და ქვესათაურის სტრუქტურის ერთიანი ფორმატი - სავალდებულო ძირითადი სახელმძღვანელოს მითითებით, სვეტების ერთიანი დასახელება, მათი რაოდენობა, შრიფტის ზომა, შენიშვნებისა და დანართების გამოყენების შესაძლებლობა და სხვა.<br><br>ინდიკატორი შესაბამისობაშია |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე; დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას. დოკუმენტაცია შემუშავებულია |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და წარმოადგენს სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაბამის მექანიზმს.<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს** |
| უცხოური ენები | საგნობრივი კურიკულუმები შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურების დონეზე. შემუშავებული კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რაც შექმნილია მათი ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად.<br>**რჩევა:**<br>სასურველია, რომ ყველა საფეხურზე, პირველ და მეორე უცხოურ ენაში, აქტიურად შეიტანონ პრაქტიკაში არაფორმალური აქტივობების მიმართულებაც, მაგ., კლუბი, სასწავლო პროექტი, კონფერენცია და ა.შ. რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის უნარების განვითარებას რეალურ კონტექსტში.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სსიპ- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ხანის საჯარო სკოლის მიერ გაზიარებული დოკუმენტებისა და დამატებით მოთხოვნილი მასალების შესწავლის საფუძველზე, ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა) იკვეთება, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმის შინაარსი და კურიკულუმის თანახმად განხორციელებული პრაქტიკა წარმოადგენს მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებსა და განვითარებაზე ორიენტირებულ დოკუმნეტს/ინსტრუმენტს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნებში სამივე საფეხურის |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმებში იკვეთება რიგი ტექნიკური ხარვეზები თუ უზუსტობები უშუალოდ საგნობრივ ჭრილში.<br><br>**რჩევა:** სასურველია, გადაიხედოს ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე შემავალ საგნებში თითქმის ყველა საფეხურის კურიკულუმები და მოხდეს სწორად დაგეგმვა და გეგმიურად გაწერა სავალდებულო თემებისა, სამიზნე ცნებების სწორად განსაზღვრა და შეძლებისდაგვარად დატვირთვა შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებებით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ინტეგრირებას და სასწავლო პროცესის უფრო მიზანმიმართულ, თანმიმდევრულ სტრუქტურირებას მესამე თაობის ესგ-ს პრინციპების შესაბამისად.<br><br>**ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია თემები, რომლებზეც მუშაობს კათედრა, მეტწილად წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კონკრეტული პროდუქტის სახით. იყო ცალკეული ხარვეზები, მაგალითად, მე-5 კლასის კურიკულუმში მეორე თავში კომპლექსური დავალებად ნაწარმოების შინაარსი იყო მოთხოვნილი, საკითხს კი არაფერი ჰქონდა საერთო დავალებასთან. მე-6 კლასის კურიკულუმში მეორე თემის დავალების პირობა და საკითხი შეუსაბამო იყო, მე-7 -8-9 კლასის კურიკულუმში ყველა თავს ახლდა საკითხი, თუმცა მარტო ორ თავს ჰქონდა დავალების პირობაც. მე-12 კლასის კურიკულუმში ჩარჩო მთლიანად შესაცვლელი იყო, რათა შესაძლებელი ყოფილიყო სტანდარტის მიხედვით მისი შეფასება. რამდენიმე კლასის |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმს არასწორად ჰქონდა ქუდში წარმოდგენილი სახელმძღვანელოს ავტორ-გამომცემლები.<br><br>თუმცა კათედრასთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ სრულად აქვთ გააზრებული ეს ხარვეზები, და რომ იმუშავებენ მათ დახვეწაზე, რის დასტურადაც მასწავლებლებმა დამატებით გამოგზავნეს უფრო დახვეწილი კურიკულუმის ნიმუშები საბაზო და საშუალო საფეხურისთვის.<br><br>**რჩევა:** სასურველია, საკითხი კომპლექსური დავალების შემთხვევაში დაიწეროს, რადგან საკითხი სწორედ იმას აღნიშნავს, ეს დავალება რას ეხება. ცალკე უფუნქციოა. სასურველია გასწორდეს კურიკულუმის ე.წ. ქუდიც და სწორად დაიწეროს სახელმძღვანელოს ავტორები და გამომცემლობა, რომ გაუგებრობა არ გამოიწვიოს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. დოკუმენტში განსაზღვრულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები და ძირითადი სასწავლო რესურსები. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებები.<br><br>**რჩევა: ყველა საფეხურის** კურიკულუმში სრულად აისახოს ყველა შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალება, რასაც რეალურად ახორციელებენ, მიზანშეწონილია რესურსების სვეტის სრულყოფილად შევსება, კერძოდ: სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდების, ელექტრონული მისამართებისა და გამოყენებული მატერიალური რესურსების |

| | |
|---|---|
| | დეტალური მითითება. ასევე, სასურველია თემების სახელწოდებების ფორმულირება შესაბამისობაში იყოს საგნობრივ სტანდარტთან და კურიკულუმში ნათლად იყოს წარმოდგენილი თემების მიხედვით საათობრივი განაწილება. სრულყოფილად შეივსოს კურიკულუმის ცარიელი სვეტები („მაგალითები შედარებისთვის", „კონტექსტ- მაგალითი" და სხვა).<br><br>**საბაზო და საშუალო** საფეხური კურიკულუმებში ჩასწორდეს სამიზნე ცნებები.<br><br>**VIII კლასის** კურიკულუმში შეტანილ იქნეს შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომელთა ნაწილი დანართის სახით წარმოადგინა სკოლამ.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას<br><br>**ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი აგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. იგი ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ მახასიათებლებს, ინტერესებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას, პრაქტიკული უნარებისა და ციფრული კომპეტენციების განვითარებას კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, საკითხები, კურიკულუმების ჩარჩოებში ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეების სახით **ინდიკატორი შესაბამისობაშია**<br><br>. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ ბუნებისმეტყველების პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია რესურსები, აგრეთვე, კურიკულუმების ჩარჩოებში ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეების სახით. აღსანიშნია, რომ რიგ კურიკულუმის ჩარჩოებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები, ამიტომ, ეძლევა **რჩევა:** |

| | |
|---|---|
| | • სკოლის დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებში გასწორდეს სამიზნე ცნებები: "სივრცეში ორიენტირების", "გარემოს დაცვის", "მოვლენის" ნაცვლად აისახოს - "გეოგრაფიური ობიექტი", "მდგრადი განვითარება", "მოვლენა, პროცესი", აგრეთვე თითოეულ თემაში აისახოს ხუთივე სამიზნე ცნება შესაბამისი ქვეცნებებით. გასწორდეს მე2-კლასის კურიკულუმში მეორე და მესამე თემების დასახელება და აისახოს "წყალი როგორც გარემო" და"ჰაერი როგორვ გარემო".მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში აისახოს მხოლოდ სწორი დასახელება სამიზნე ცნების -"მოვლენა, პროცესი "<br>• სკოლის დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში მეტი ვიზუალური და გასაგები ინფორმაციის აღქმის მიზნით, განიხილოს უნიფიცირებული კურიკულუმის ჩარჩოს ტაბულის გაფორმების მიდგომები, მაგალითად, სათაურისა და ქვესათაურის სტრუქტურის ერთიანი ფორმატი - სავალდებულო ძირითადი სახელმძღვანელოს მითითებით, სვეტების ერთიანი დასახელება, მათი რაოდენობა, შრიფტის ზომა, შენიშვნებისა და დანართების გამოყენების შესაძლებლობა და სხვა.<br><br>**დაწყებითი კლასების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება)** მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, სავალდებულო თემების კონტექსტში შუალედურ მიზნებად დაგეგმილია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, |

| | |
|---|---|
| | ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. ზოგ შემთხვევაში კურიკულუმის ჩარჩოში შეინიშნება ტექნიკური უზუსტობები.<br><br>პედაგოგებმა გაიაზრეს აღნიშნული ხარვეზები და იმუშავებენ მათ აღმოფხვრაზე.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

**2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

| | | |
|---|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | | სკოლის მიერ **საბაზო და საშუალო საფეხურების** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებების საგნების (ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის) საათობრივი დატვირთვა, აგრეთვე საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას.<br>სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციაში არის გადმოგზავნილი შემოქმედებითი დავალებების შინაარსები, თუმცა ნაწილ წარდგენილ კურიკულუმების ჩარჩოებში ამ დავალებების იდეა არ არის ან არასრულყოფილად არის ასახული ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა:** |

| | | |
|---|---|---|
| | | • საბაზო საფეხურის ბიოლოგიის (გარდა მე-8 კლასის) და ქიმიის მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმებში მკაფიოდ აისახოს შემოქმედებითი დავალებების ან/და სასწავლო პროექტების იდეა შესაბამისი პროდუქტის სახეობის მითითებით.<br>• საშუალო საფეხურის ქიმიის მე-11, მე-12, ბიოლოგიის მე-11, მე-12 კლასების საგანმანათლებლო კურიკულუმებში მოკლედ და მკაფიოდ აისახოს შემოქმედებითი დავალებების ან/და სასწავლო პროექტის იდეა შესაბამისი პროდუქტის სახეობის მითითებით.<br><br>ინდიკატორი შესაბამისობაშია |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | | წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. დოკუმენტებში ასახულია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები და თემები. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, ხოლო შერჩეული აქტივობები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.<br><br>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს |

| | | |
|---|---|---|
| უცხოური ენები | | წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და მეთოდური რეკომენდაციები და მათი შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შედეგების მიღწევას.<br>**რჩევა:**<br>სასურველია, რომ რუსულ ენაში, საშუალო საფეხურზე, ერთი თემის ფარგლებში შერჩეულ შუალედურ დავალებებში, დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა გრძელვადიანი მიზანი და გააზრებული საგნობრივი შინაარსების გადმოსაცემად და სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღსაწერად, ქვესაკითხების ჩამონათვალი იყოს სრულყოფილი და ზუსტი.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ესთეტიკური აღზრდის კათერდის საგნობრივი დისციპლინები- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა პროცესში და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ. ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ მიერ გაწერილი შუალედური მიზნები მიემართება გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ- დაწყებითი და საბაზო საფეხურები ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტით დადგენილ თეორიულ და პრაქტიკ ულ სწავლებას, ხოლო საშუალო საფეხურზე- პრიორიტეტულ მიმართულებებზე (მაკროცნებები) ორიენტირებულ სავალდებულო პროექტების განხორციელებას.თუმცა |

| | | |
|---|---|---|
| | | სამივე საფეხურზე კათედრაზე შემავალი საგნების კურიკულუმებში აღინიშნება რიგი ხარვეზები, რის საფუძველზეც სკოლას ეძლევა<br><br>**რჩევა:** სასურველია, მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება. ასევე დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება; განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად.<br><br>**ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |
| სახელმწიფო ენა | | კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია ცნებათა სწავლებაზე, რისი მანიშნებელიცაა ე. წ. კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლების დაწყება.<br><br>**რჩევა:** სასურველია, მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მიზნით მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს შემოქმედებითი ტიპის დავალებები და კათედრამ კურიკულუმში ასახოს |

| | | |
|---|---|---|
| | | ესგ-ს შესაბამისად  გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული უფრო მეტი და  მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალება. |
| მათემატიკა | | წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად და მოიცავს ყველა სამიზნე ცნების დამუშავებას. გაწერილი შემოქმედებითი ხასიათის დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზნებზე. კურიკულუმში შეტანილი შემოქმედებითი დავალებების გარდა, განხორციელებულია დავალებები, როგორიცაა პროექტები, პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც ასევე ემსახურება შუალედური მიზნების მიღწევას.<br><br>**რჩევა: ყველა საფეხურის** კურიკულუმში სვეტის სახელწოდება: „კომპლექსური დავალების იდეა", ჩანაცვლდეს „შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებით", სრულად აისახოს ყველა ტიპის დავალება, რომელიც იძლევა შემოქმედებით პროდუქტს და მიმართულია შუალედური მიზნების მიღწევისაკენ.<br><br>**საბაზო და საშუალო** საფეხურის კურიკულუმებში სამიზნე ცნებების ტერმინოლოგია დაზუსტდეს  საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, შეტანილ იქნეს შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომლებიც მიემართება შუალედურ მიზანს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

| | | |
|---|---|---|
| სპორტი | | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნაზე,მასში შეტანილია სასწავლო თემები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათსა ჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას სამივე საფეხურზე კურიკულუმი შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტზე დაყრდნობით,ითვალისეინებს საგნის მიზნებს , შედეგებს და საგნის სამიზნე ცნებებს,<br><br>**ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | | სკოლის მიერ დაწყებით საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ძირითად პრინციპებთან. სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინფორმაციული და ციფრული წიგნიერების განვითარებას, ასევე ტექნოლოგიების მიზნობრივ და უსაფრთხო გამოყენებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის გაღრმავებასა და თანამედროვე გარემოსთან ადაპტირებული უნარების განვითარებას<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ზოგადი განათლების | | სკოლის მიერ **დაწყებითი საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების პირველი, მე-2, მე-3, მე- |

| | | |
|---|---|---|
| დაწყებითი საფეხური | | 4, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, შუალედური მიზნები, აგრეთვე, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ პირველი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6, კლასების კურიკულუმებში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი და გამოტოვებულია შუალედური დავალების იდეის სვეტი, ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა:**<br><br>• **დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო კურიკულუმებში აღდგეს სვეტი - "შუალედური დავალების იდეა", სადაც მკაფიოდ აისახება შემოქმედებითი დავალების/სასწავლო პროექტების იდეა შესაბამისი პროდუქტის სახეობის მითითებით.**<br><br>**დაწყებითი კლასების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება)** მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სავალდებულო თემების კონტექსტში მუშავდება შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც კავშირშია საგნობრივ სამიზნე ცნებებთან. |

| | | |
|---|---|---|
| | | ზოგ შემთხვევაში შეინიშნებოდა ხარვეზი (მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის 1-ელი კლასის კურიკულუმში არ იყო ასახული ეს მიმართებები ), თუმცა კათედრამ ვიზიტის ფარგლებშივე გაასწორა დოკუმენტი რჩევის შესაბამისად და წარმოადგინა სრულყოფილი ნიმუში. |

**3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები **ასახულია საბაზო და საშუალო საფეხურების** ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოებში. აღსანიშნავია, რომ ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების გარეშე, ამიტომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს ცდები და ექსპერიმენტები, ამიტომ სკოლას ეძლევა რჩევა:<br><br>• **საბაზო და საშუალო საფეხურების ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის კლასების კურიკულუმებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან** |

| | |
|---|---|
| | **გამომდინარე მკაფიოდ ასახონ, რეალური ან/და, ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განსაზღვრონ დასახელება, მითი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო საშინაო და სხვა) და ნუმერაცია.**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურზე კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში ასახულია როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე ციფრული რესურსები, რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს** |
| უცხოური ენები | წარმოდგენილი კურიკულუმები მოწმობს,რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მოსწავლის ასაკის ,ინტერესების და საჭიროების გათვალისწინებით. გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად კურიკუმში ასახულია დამხმარე რესურსებიც, რაც შეესაბამება გაკვეთილის მიზანს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის კათედრის კურიკულუმების შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ სკოლა ძირითადად ეყრდნობა სამინისტროს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (მუსიკა, |

| | |
|---|---|
| | სახ.და გამოყენებითი ხელოვნება). სამივე საფეხურზე კათედრის მიერ გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ასევე ელექტრონული რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ელექტრონული ბმულები მოცემულ საკითხებთან შესაბამისობაშია.<br><br>**ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს მასალებს იუთუბ არხიდან, ინტერნეტრესურსებს და დამატებით ლიტერატურას. თუმცა მე-5-მე-6 კლასების კურიკულუმებში ნაკლებად არის ასახული, რა დამატებითი რესურსებს იყენებენ.<br><br>**რჩევა: სასურველია, მე-5-მე-6 კლასის კურიკულუმში სრულად აისახოს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით გამოყენებული დამატებითი რესურსები, ასევე საჭიროა უფრო მეტი მრავალფეროვნება მასალების შერჩევისას ყველა კლასის კურიკულუმში სწავლის შედეგების მისაღწევად.** |
| მათემატიკა | სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**რჩევა: სამივე საფეხურის** კურიკულუმში სვეტის სახელწოდება „რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის" ჩანაცვლდეს „სასწავლო რესურსებით" და სრულად აისახოს ყველა გამოყენებული რესურსი, ასევე მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

| | |
|---|---|
| სპორტი | სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ სეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით<br><br>.ინდიკატორი 2.1.2.3. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმით გათვალისწინებულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას და მოსწავლეთა ციფრული უნარების განვითარებას. სასწავლო პროცესში გამოყენებულია ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები და ციფრული პლატფორმები, როგორიცაა **school.emis.ge**, ასევე პროგრამირების და მოდელირების საგანმანათლებლო პლატფორმები - **scratch.mit.edu**, ასევე სხვა პლატფორმები, აღნიშნული რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, პრაქტიკული უნარების განვითარებას და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, |

| | |
|---|---|
| | უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ასახულია დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ბუნებისმეტყველების საგნის ყველა კლასების კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში. აღსანიშნავია, დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნის სწავლება შეუძლებელია მარტივი ცდების გარეშე, ამიტომ კურიკულუმის ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს მარტივი ცდები ან/და ექსპერიმენტები, ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა**:<br><br>● **სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნის ყველა კურიკულუმებში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღვროს დასახელება, მათი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო და სხვა) და ნუმერაცია.**<br><br>**დაწყებითი კლასების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება)** კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები და რვეული, ასევე მითითებულია ელექტონული რესურსების ბმულები, თუმცა პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ საჭიროა კიდევ უფრო მრავალფეროვანი რესურსების შერჩევა და გამოყენება სასწავლო პროცესში დასახული მიზნის მისაღწევად.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

**4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | • სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებზე. **საბაზო და საშუალ**ო საფეხურების საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები, შესაბამისად დაგეგმონ საგაკვეთილო პროცესი და მოარგონ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, თუმცა, ასეთი მკაფიო ტენდენცია არ იკვეთება შემაჯამებელი დავალებების მიმართ, შემოქმედებითი ბუნების დავალებების შექმნისას, ამიტომ სკოლას **ეძლევა რჩევა:**<br><br>**საბაზო და საშუალო საფეხურების ბუნებისმეტყველების (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების / სასწავლო პროექტების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებსა და დიფერენცირებულ მიდგომებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პედაგოგებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ კურიკულუმების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები. პედაგოგების მიერ ხორციელდება სასწავლო შინაარსისა და |

| | |
|---|---|
| | კომპლექსური დავალებების პირობების შესაბამისი მოდიფიცირება. გამოყენებული რესურსები და სწავლების მეთოდები პასუხობს სწავლის განსხვავებული სტილის მქონე მოსწავლეთა საჭიროებებს.<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს** |
| უცხოური ენები | წარმოდგენილ კურიკულუმებსა და დაგეგმილ აქტივობებში იკვეთება დიფერენცირებული მიდგომა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. ამასთან, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტებში, შუალედურ სასწავლო მიზნად მოიაზრება კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები .<br>**რჩევა:**<br>სასურველია, რომ სამივე საფეხურზე, პირველ და მეორე უცხოური ენების კურიკულუმებში სრულყოფილად აისახოს დიფერენცირებული ინსტრუმენტები და აქტივობები.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მათი ხედვა დიფერენცირებულ მიდგომებთან დაკავშირებით. პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესი მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ფიზიკურ შესაძლებლობებს. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს.<br><br>**ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც აისახება შერჩეულ სასწავლო რესურსებში, თემებში.<br><br>**რჩევა:** სახელმწიფო ენა - სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები სრულად აისახოს კურიკულუმებში. |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. წარმოდგენილია მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული მოდიფიცირებული დავალებები, რომელიც შეესაბამება დასახულ სასწავლო მიზანს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სპორტი | სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით<br><br>**ინდიკატორი** 2.1.2.4 . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. სწავლების მიმდინარეობისას გამოიყენება მრავალფეროვანი და დიფერენცირებული მიდგომები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ |

| | |
|---|---|
| | შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად არჩევს აქტივობებს, იყენებს განსხვავებულ სწავლების სტრატეგიებს და სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | **სკ**ოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას **დაწყებით** საფეხურზე სასწავლო პროცესის განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები ახორციელებენ არატიპიური მოსწავლეების სწავლებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. აღსანიშნია ის, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში, როგორიც არის შემოქმედებითი ბუნების დავალებები და შემაჯამებელი დავალებებში, არ იკვეთება მკაფიო ტენდენცია დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომების მიმართ, ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა:**<br><br>• **სკოლის დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნის შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების / სასწავლო პროექტების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.**<br><br>**დაწყებითი კლასების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება)** პედაგოგებს გააზრებული აქვთ , რომ სასწავლო პროცესი უნდა ეფუძნებოდეს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს და მუშაობენ თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. იყენებენ არჩევით დავალებებს და ადაპტირებულ რესურსებს. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:**<br><br>• **დიფერენცირებული სწავლებისას გამოყენებული მასალა აისახოს კურიკულუმებში.** |

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. პედაგოგები შეფასებისას იყენებენ ანალიტიკურ რუბრიკებს, მოლოდინების ცხრილის რუბრიკებს, თუმცა არასრულად წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები თემების მიხედვით, ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა:**<br><br>• **საბაზო და საშუალო საფეხურების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მოამზადონ საბუნებისმეტყველო (ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის) საგნებისათვის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული *განმავითარებელი* შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი - კონკრეტული შემოქმედებითი ბუნების** |

| | |
|---|---|
| | **დავალება ან/და სასწავლო პროექტი, აგრეთვე, სრულად მოამზადონ ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით *განმსაზღვრელი* შეფასების რუბრიკები;**<br><br>● **საბაზო და საშუალო საფეხურების - ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებისათვის შეიქმნან შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო - ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნების სამიზნე ცნებებზე.**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ეფუძნება საგნობრივ სტანდარტებსა და შედეგებს.<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს** |
| უცხოური ენები | წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი და წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები, აქტივობები თუ მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, ხელს უწყობს აქტიურ სწავლას, მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას და ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. ასევე, ინტერვიუდან დასტურდება, რომ კათედრაზე დაგეგმილია სადიაგნოსტიკო ტესტირების/დავალების |

| | |
|---|---|
| | წარმოება, რაც დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და უკეთ დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.<br>**რჩევა:**<br>სასურველია, რომ სამივე საფეხურზე, უცხო ენების კათედრამ უზრუნველყოს მოსწავლეთა თვითშეფასების/ურთიერთშეფასების ინსტრუმენტების ინტენსიურად შემუშავება და დახვეწა.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკების ნიმუშების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს და იძლევა საგნობრივი სტანდარტებით დადგენილი მოკლევადიანი/გრძელვადიანი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. შეფასების რუბრიკები უფრო მეტად ზოგადი ხასიათისა, რამოდენიმე დოკუმენტში არ არის თვალსაჩინოდ გამოყოფილი სამიზნე ცნებები და დავალებების შესაბამისობა კურიკულუმთან, რის საფუძველზეც ესთეტიკურ კათედრას ეძლევა<br><br>**რჩევა:** შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგად ხასიათისაა, შესაბამისად მასწავლებელებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები.<br><br>**ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |

| | |
|---|---|
| | |
| სახელმწიფო ენა | კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. თუმცა თავდაპირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებულ რუბრიკებში ნაკლებად იყო ასახული მე-3 თაობის ესგ-ს მოთხოვნები. შეხვედრისას გაირკვა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისი რუბრიკების შესაქმნელად და აპირებენ სწორედ ასეთი რუბრიკების შექმნას.<br><br>**რჩევა:** სასურველია, სახელმწიფო ენაში კათედრამ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი. ასევე შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. |
| მათემატიკა | სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი და განმავითარებელი მიდგომების გამოყენებით, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებს. მიმდინარე პრაქტიკაში შეფასების ინსტრუმენტად ძირითადად გამოიყენება ზოგადი რუბრიკები. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** შეფასების მეტი გამჭირვალობისათვის, შეიქმნას კონკრეტულ სასწავლო თემებზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რაც გააუმჯობესებს განმავითარებელი უკუკავშირის ხარისხს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სპორტი | ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან.<br><br>**ინდიკატორი** 2.1.2.5. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა წარმოადგინა როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები. მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ |

| | |
|---|---|
| | პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან. რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ობიექტურ და სრულყოფილ შეფასებას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის - „სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების კონცეპტუალური და ადმინისტრაციული საკითხების" მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. პედაგოგები დიაგნოსტიკური შეფასების გარდა, უმეტესად იყენებენ ანალიტიკურ რუბრიკებს, რომლებიც არ არის მიმართული საფეხურის სამიზნე ცნებებისაკენ ამიტომ, სკოლას ეძლევა **რჩევა**:<br><br>• **დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნისათვის სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადონ დაწყებითი საფეხურის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული *განმავითარებელი* შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი- კონკრეტული შემოქმედებითი ბუნების დავალება ან/და სასწავლო პროექტი, აგრეთვე, სრულად მოამზადონ ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით ნაწილობრივ მეორე სემესტრის მე-5 და მე-6 კლასებისათვის *განმსაზღვრელი* შეფასების** | |

| | |
|---|---|
| | **რუბრიკები.**<br><br>• **დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების საგნისთვის შეიქმნას შემაჯამებელი და სადიაგნოსტიკო დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება *დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების* საგნის სამიზნე ცნებებზე.**<br><br>**დაწყებითი კლასების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება)** კათედრას წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკების ნიმუშები . ზოგ შემთხვევაში გასასწორებელი იყო რუბრიკებში წარმოდგენილი მიმართებები კრიტერიუმებსა და სამიზნე ცნებებს შორის. თუმცა პედაგოგებმა ვიზიტის ფარგლებში შეძლებისდაგვარად გამოასწორეს ხარვეზები და იმუშავებენ მომავალშიც რუბრიკების დახვეწასა და მათ სრულყოფაზე.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

……
……
……

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

2.2.1. **სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა  და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი სკოლის **საბაზო და საშუალო** საფეხურების პროგრამებში საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების **ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნების** არაფორმალური სწავლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და მათი შემოქმედებითობის ხელშეწყობაში, ამ ნაწილში სკოლას ეძლევა **რჩევა**,<br><br>● **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების მიმართ ინტერესის გაზრდის და მოსწავლეთა კვლევის უნარების ჩამოყალიბების მიზნით <u>სკოლამ სამივე საფეხურზე</u> განიხილოს არაფორმალური განათლების მიმართულებით მუშაობა (კლუბის/ების, წრეების შექმნა).**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუები ადასტურებს, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი და ანალიზი. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს კურიკულუმებში პერიოდული ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის შესაბამისობას მოსწავლეთა საჭიროებებსა და დადგენილ სტანდარტებთან.<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს** |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესი ორგანიზებულია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და კურიკულუმში აღწერილ მიზნებსა და ამოცანებს.<br>**რჩევა:**<br>სასურველია, რომ სასწავლო პროცესში, საგანთაშორისი კავშირების გასაღრმავებლად, აქტიურად დაიგეგმოს ინტეგრირებული გაკვეთილები.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში პედაგოგების მიერ გაწერილია სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ცდილობენ კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების განხორციელებას და არაფორმალური განათლების მხრივაც სასწავლო პროცესის წახალისებას<br><br>**რჩევა:**. რეკომენდებულია პედაგოგებმა ყველა საფეხურზე აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის მიზნების ეფექტურ მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი 2.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |
| სახელმწიფო ენა | კომპლექსური დავალება ან ნებისმიერი ტიპის შემოქმედებითი პროდუქტი შერჩეულია კურიკულუმში გაწერილი თემის შესაბამისად. დავალების პირობა კავშირშია მოსწავლის როლთან და სასწავლო შედეგებთან, თუმცა დავალება სასწავლო წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე ცნებას ამუშავებს. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით და ყველა ცნების დამუშავება მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში. |
| მათემატიკა | წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი თითოეულ საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. თემების მიხედვით შესრულებულია როგორც შემაჯამებელი სამუშაოები, ისე შემოქმედებითი ხასიათის დავალებები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ და მიზანმიმართულ განხორციელებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სპორტი | სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას |

| | **ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** |
|---|---|
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესში ეყრდნობიან კურიკულუმში ასახულ მიზნებს, სამიზე ცნებებს, საკითხებს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, დიფერენცირებულ მიდგომებსა და ინკლუზიურ პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ინტერესების გათვალისწინებას და მათი ციფრული უნარების ეფექტიან განვითარებას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | **დაწყებითი კლასების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება)** მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც შემუშავებული აქვთ. დაგეგმილი შემოქმედებით დავალებები ემსახურება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში ხდება დაგეგმილი დავალებების მოდიფიცირება.<br>ზოგ შემთხვევაში პედაგოგებს გასათვალისწინებელი აქვთ ის, რომ თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**
3. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში, შესაძლოა პროცესების განვითარება არ გაყვეს იმ ჩარჩო დოკუმენტს რაც შემუშავებულია სასწავლო წლის დასაწყისში, ამიტომ სკოლა მზად არის საჭიროების შემთხვევაში შეიკრიბოს და განახორციელოს ცვლილება სასკოლო კურიკულუმში, რომელიც მოსწავლეთა საჭიროებებს იქნება მორგებული, ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს თემების იერარქიაში ასევე საკითხებისა და ქვესაკითხების ცვლილების

კუთხით, იშვიათ შემთხვევაში შესაძლოა კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებები დაკორექტირდეს, როგორც შინაარსობრივად ასევე თემის ფარგლებში ჩაემატოს ან ამოაკლდეს საჭიროების მიხედვით. ყველაზე მეტად ცვლილება შეეხება რესურსებს რაც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | **ს**კოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ზრუნავს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობა შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებს და ამოცანების, პრინციპების, ვერიფიკაციის პროცედურების შესახებ. აქედან გამომდინარე სკოლა სწორი მიმართულებით ავითარებს შეფასების სისტემას და ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს.<br>სკოლას **ეძლევა რჩევა:**<br>• **სკოლის „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ დოკუმენტის სრულყოფილების მიზნით, დანართის სახით გაჩნდეს ვერიფიკაციის პროცესის შედეგების ანგარიშის ერთიანი ფორმა.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასება პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც |

| | |
|---|---|
| | განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან.<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს** |
| უცხოური ენები | წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, იკვეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა საკუთარი გამოცდილების გაანალიზებაზე დაყრდნობით შეიმუშაოს შეფასების მოქნილი სისტემა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებისთვის უმეტესად ნათელია რა პრინციპითაა შერჩეული შეფასების ინსტრუმენტი და რამდენად შეესაბამება შერჩეული ინსტრუმენტი სასწავლო მიზნებს.<br>**რჩევა:**<br>სასურველია, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ გააცნონ მოსწავლეებს ან/და ინტენსიურად მოხდეს მათი ჩართულობით შეფასების სქემების წარმოება, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. გარდა ამისა, შეფასების ვალიდურობის უზრუნველსაყოფად, რუბრიკებში, დეტალურად აღიწეროს ზუსტად ის, რისი შეფასებაცაა განსაზღვრული და რა მოლოდინია მოსწავლისგან კონკრეტულ თემასთან (და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით .<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის კათედრის საგნებში, სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რაზეც მოწმობს კათედრის |

| | |
|---|---|
| | მიერ წარმოდგენილი შეფასების რამდენიმე რუბრიკის ნიმუში, რომლებიც უშუალოდ დავალების კრიტერიუმებს ეყრდნობა, თუმცა უმჯობესია კათედრის მიერ გათვალისწინებული იქნას:<br><br>**რჩევა:** სასურველია, კონკრეტულ თემებზე დაყრდნობით შეფასების რუბრიკები მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებებთან, მკვიდრ წარმოდგენებთან და ინდიკატორებთან, რათა მოსწავლისათვის უფრო მეტად მკაფიო და ვალიდური იყოს შეფასება **.**<br><br>**ინდიკატორი** 2.2.1.3. **აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |
| სახელმწიფო ენა | იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. შემუშავებული აქვთ სხვადასხვა აქტივობის შესაფასებელი რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების რუბრიკები.<br><br>**რჩევა:** სასურველია, შექმნან კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან, მკვიდრ წარმოდგენებთან და შესაბამის ინდიკატორებთან, რათა შეფასება იყო მკაფიო და ვალიდური. |
| მათემატიკა | სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. წარმოდგენილ შემაჯამებელ დავალებებს ახლავს წინასწარ განსაზღვრული შეფასების რუბრიკები, რომლებიც, |

| | |
|---|---|
| | ინტერვიუს მიხედვით, მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ზრდის ნდობას.<br><br>**რჩევა:** შეიქმნას კონკრეტულ სასწავლო თემებზე მორგებული შეფასების რუბრიკები, დავალებებში მკაფიოდ იყოს მითითებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები, რაც ნათელს გახდის შეფასების ვალიდურობას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სპორტი | პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით.<br><br>**ინდიკატორი** 2.2.1.3. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | მოსწავლეთა შეფასების სისტემა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისად,დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს შემუშავებული შეფასების რუბრიკები, შეფასება ეფუძნება მრავალმხრივ მიდგომებს - |

| | |
|---|---|
| | პრაქტიკულ დავალებებს, პროექტებს, პრეზენტაციებს, ელექტრონულ აქტივობებს და ციფრულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სამართლიან და ობიექტურ შეფასებას. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები, რაც ეხმარება სწავლის სწორ დაგეგმვას და თვითშეფასების განვითარებას. ასეთი მიდგომა ქმნის გამჭვირვალე და სამართლიან გარემოს, სადაც მოსწავლეები კარგად ხვდებიან, რას ეფუძნება მათი შეფასება. რაც ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | **დაწყებითი კლასების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, მე და საზოგადოება, ბუნებისმეტყველება 1-6 კლასების)** პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ განმავითარებელ, ხოლო მე-5 კლასის მე-2 სემესტრიდან დამატებით გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა პედაგოგების მზაობა, რომ შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის გასაზრდელად რუბრიკები კიდევ უფრო დაიხვეწება და მათში სრულყოფილად აისახება მიმართებები კონკრეტული მოთხოვნებისა და გრძელვადიან მიზნებს შორის.<br><br>სკოლაში არსებობს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნების და ამოცანების, პრინციპების, ვერიფიკაციის პროცედურების შესახებ. ამ დოკუმენტის განხილვის შედეგად<br><br>სკოლას **ეძლევა რჩევა:** |

| | |
|---|---|
| | • **სკოლის „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ დოკუმენტის სრულყოფილების მიზნით, დანართის სახით გაჩნდეს ვერიფიკაციის პროცესის შედეგების ანგარიშის ერთიანი ფორმა.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

**5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებულია ვერიფიკაციის მექანიზმი (2026 წლის 3 თებერვლის N 2-05 ბრძანება) და წარმოდგენილია ცალკე დოკუმენტის სახით. სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის საჯარო სკოლა მოსწავლეთა შეფასების სისტემის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად იყენებს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესს. მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი არეგულირებს შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებს. სკოლის მიერ დამტკიცებული წესის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია სკოლის დირექტორი. სკოლის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობას და მის ხელმძღვანელს. ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები ადგენენ ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული სასწავლო წლისთვის შერჩეული ვერიფიკაციის ფოკუსის შესაბამის სიხშირესა და პერიოდს. ვერიფიკაციის სიხშირე და პერიოდი განსაზღვრება ვერიფიკაციის ფოკუსისა და სამუშაოს მოცულობის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა ნებისმიერ დოკუმენტაციას, რომელიც უკავშირდება შეფასებას, შემაჯამებელ წერებს და სხვა აუცილებელ დოკუმენტაციას ინახავს 3 წლის ვადით, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი შემდგომი გამოყენება. აღნიშნული

დოკუმენტაცია ინახება სკოლის დირექტორის ოთახში არსებულ სეიფში, რომელთანაც წვდომა აქვს სკოლის დირექტორს და საქმისმწარმოებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საგნობრივი  კურიკულუმი

შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.2. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა  და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ გამოყენებული **საბაზო და საშუალო საფეხურის** ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურსების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, კურიკულუმების რესურსების სვეტში, ჩაიწეროს სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლების რესურსები, მაგალითად, პრეზენტაციები, მოკლე თემატური რიდერები, სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური მასალები (ცხრილები, გრაფიკული ხელსაწყოები), მეთოდური მითითებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოების თანდართული დოკუმენტები (პროტოკოლები, ინსტრუქციები) და ა.შ. აქედან გამომდინარე **სკოლას ეძლევა რჩევა:**<br><br>● **საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნების ქიმიის მე-8, მე-9 და ბიოლოგიის მე-8 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები შეავსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები; საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსებით, მაგალითად, საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12 სიმულაციები და სხვა; მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსებით და სხვა აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.** |

| | |
|---|---|
| | • საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნების ბიოლოგიის მე-10-12, ქიმიის მე-11, მე-12 და ფიზიკის (გარდა მე-12) კლასების კურიკულუმების ჩარჩოები შეავსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები; საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსებით; მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსებით და სხვა, აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.<br><br>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე რესურსები (ელექტრონული პლატფორმები, გზამკვლევები, პრეზენტაციები). აღნიშნული მასალების გამოყენება შეესაბამება საგნობრივ კონტენტს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსები შერჩეულია მიზნობრივად და პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს** |
| უცხოური ენები | კურიკულუმში განსაზღვრულია ის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც გამოიყენება სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br>ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით . ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | პედაგოგებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ისინი სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს. როგორც გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ შეთავაზებულ და კათედრის მიერ შერჩეულ დამხმარე რესურსებს, სკოლის სასწავლო ინვენტარს. როგორც მტკიცებულებებზე დაყრდნობით ჩანს და თავად მასწავლებლებმაც აღნიშნეს შეხვედრის დროს, ხშირია სასწავლო მიზნებისთვის თავად მოსწავლეების შექმნილი რესურსების გამოყენებაც (მაგ. ელ. პრეზენტაცია, ვიდეორგოლი და ა.შ.); |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლებიც უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. სასურველია, ყველა საფეხურის კურიკულუმში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებე და სასწავლო სახელმძღვანელო რესურსის გვერდები სწორად იყოს გაწერილი კურიკულუმებში, სასწავლო რესურსების სვეტში.<br><br>**ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე ელექტრონულ რესურსებს ფილმები, იუთუბი დამხმარე ლიტერატურა.<br><br>**რჩევა:** სასურველია, გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები და რესურსების გვერდები თუ მისამართები სწორად იქნეს გაწერილი შესაბამის სვეტში. |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები სრულად შეესაბამება საგნის თემატიკას და ორიენტირებულია მოსწავლეთა მიერ მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე.<br><br>**რჩევა:** ყველა საფეხურის კურიკულუმში დეტალურად აისახოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები; კერძოდ, მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, დაზუსტდეს გამოყენებული ელექტრონული წყაროების (ბმულების) მისამართები, შეიტანონ გამოყენებული მატერიალური რესურსები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სპორტი | გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.<br><br>**ინდიკატორი 2.2.2.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში - დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ეყრდნობა კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითადი რესურსები მოიცავს |

| | |
|---|---|
| | სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელ.რესურსს https://school.emis.ge/ ასევე იყენებენ დამხმარე დამატებითი რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დიფერენცირებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. მასწავლებელი აქტიურად იყენებს და საჭიროებისამებრ იყენებენ რესურსებს, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას და კურიკულუმთან შესაბამისობას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ გამოყენებული **დაწყებითი საფეხურის** ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები მოსწავლეებს ხელს უწყობს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურსების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, კურიკულუმების რესურსების სვეტში ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები, სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსები/ინტერაქტიული სიმულაციები რესურსები, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლების რესურსები, მაგალითად, პრეზენტაციები, მოკლე თემატური რიდერები, სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური მასალები (ცხრილები, გრაფიკული ხელსაწყოები), მეთოდური მითითებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოების თანდართული დოკუმენტები (პროტოკოლები, ინსტრუქციები) და ა.შ. აქედან გამომდინარე **სკოლას ეძლევა რჩევა:**<br><br>• **დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნის ყველა კლასის კურიკულუმები შეავსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული** |

| | |
|---|---|
| | **ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსებით, საგანმანათლებლო პლატფორმის რესურსებით- (მაგალითად, საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12 სიმულაციებით და სხვა); მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსებით და სხვა, აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.**<br><br>**დაწყებითი კლასების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, მე და საზოგადოება, ბუნებისმეტყველება 1-4 კლ. )** კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. პედაგოგებს აქვთ მზაობა, რომ კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადონ დამხმარე მასალა, მათ შორის ელექტრონული რესურსები.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

**2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | გადმოგზავნილი მასალების საფუძველზე და სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო და საშუალო პროგრამებისათვის დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება საბუნებისმეტყველო კათედრაზე, გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.<br><br>დაწესებულებას ეძლევა **რჩევა:** |

| | |
|---|---|
| | • **სკოლამ ან საბუნებისმეტყველო კათედრამ საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებში შეიმუშაოს ვალიდაციის ერთ-ერთი შიდა კონტროლის - გადამოწმების უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და გაუმჯობესება.**<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება დადგენილი ვალიდაციის წესის შესაბამისად. გამოყენებული მასალა თავსებადია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებს. კათედრების მიერ რესურსების შერჩევა ხდება მათი მიზნობრიობის გათვალისწინებით. არსებული რესურსები პასუხობს დადგენილ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას შესაბამისი საგანმანათლებლო მასალებით<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს** |
| უცხოური ენები | დამხმარე სასწავლო რესურსი ვალიდირებულია სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | შესწავლის საფუძველზე კურიკულუმებში მითითებული დამხმარე რესურსები ვალიდურია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან და საგნობრივი სტანდარტით და.დგენილ მისაღწევ შედეგებთან<br><br>**ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** |
| სახელმწიფო ენა | კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ეს სასწავლო რესურსები კათედრის სხდომაზე განიხილება და მტკიცდება. იგულისხმება ძირითად გრიფირებული სახელმძღვანელოები, სხვა ვიდეო და ელექტრორესურსებიც. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასასრულს, კათედრაზე აანალიზებენ და ერთმანეთთან შეთანხმებით არჩევენ ისეთ სასწავლო რესურსებს, რომლებიც არის სანდო და ვალიდური. |
| მათემატიკა | სკოლაში დანერგილია დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა მექანიზმი. როგორც ინტერვიუებიდან იკვეთება, დამხმარე რესურსების შერჩევა და მათი შესაბამისობის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებთან ხორციელდება კათედრის ფორმატში. რესურსები სრულად პასუხობს სასწავლო პროცესის საჭიროებებს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე სკოლაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებასა და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. ირჩევენ მხოლოდ ეფექტურ და მიზნობრივ მასალებს, ახორციელებენ ვალიდაციის პროცესს და ითვალისწინებენ რესურსების შესაბამისობას კურიკულუმთან, მოსწავლეთა საჭიროებებთან და სასწავლო მიზნებთან. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ რესურსები რეალურად დაეხმარებიან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა წარმატებას |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | გადმოგზავნილი მასალების საფუძველზე და სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, **დაწყებითი კლასების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, მე და საზოგადოება, ბუნებისმეტყველება 1-6 კლ.** ) სასწავლო რესურსები შერჩეულია კათედრაზე ერთობლივი გადაწყვეტილებით, მოსწავლეთა ასაკისა და საჭიროებების გათვალისწინებით ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მათ ვალიდაციას<br><br>**დაწესებულებას ეძლევა რჩევა:**<br><br>**სკოლამ ან დაწყებითი საფეხურის კათედრამ შეიმუშაოს ვალიდაციის ერთ-ერთი შიდა კონტროლის - გადამოწმების უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან** |

| | |
|---|---|
| | **დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და გაუმჯობესება.**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების პედაგოგებთან საუბრისას და გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მცირე რაოდენობის აღჭურვილობა, ხელსაწყოები, რითაც შესაძლებელია მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება.<br><br>**სკოლა არ არის აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით, და ამასთან დაკავშირებით მოგვაწოდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც არის ინფორმაცია,** |

| | |
|---|---|
| | რომ იგი მიიღებს სრულყოფილ ლაბორატორიულ კოპლექტაციას განათლების, მეცნიერეებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებიდან.<br><br>ამიტომ რეკომენდირებულია:<br><br>სკოლამ <u>გამოყოს</u> მინიმუმ 2 ოთახი - საკლასო ლაბორატორია (კლას-ლაბორატორია), სადაც ძირითადი საგანმანათლებლო პროცესი განხორციელდება, და მცირე ზომის ოთახი (დამხმარე), რომელშიც საგაკვეთილო პროცესისთვის მოხდება მომზადება და შეინახება ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის სასწავლო საშუალებები და დიდაქტიკური მასალები, აღჭურვილობა, ხელსაწყოები, რეაქტივები, ქიმიური ჭურჭელი და სხვა; <u>შეიძინოს</u>: სპეციალიზებული ლაბორატორიული ავეჯი - ლაბორატორიული მაგიდები, სადემონსტრაციო მაგიდა სპეციალური ცეცხლგამძლე და ქიმიკატებისადმი მდგრადი დაფარვით; ხანძრის ქრობის ძირითადი აღჭურვილობა - ცეცხლმაქრები ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციებით; პირველადი დახმარების სამედიცინო ნაკრებები; საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეებისთვის დამცავი აღჭურვილობა (ხალათები ან წინსაფრები, სათვალეები, ხელთათმანები); ახალი ლაბორატორიული და პრაქტიკული აღჭურვილობა, რეაგენტები, სხვადასხვა მოწყობილობები ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კანონების ილუსტრირებისთვის; ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიის საშუალებები, მაგალითად, ინტერაქტიული დაფა ან/და პროექტორი კომპიუტერით, ვირტუალური სადემონსტრაციო ექსპერიმენტის ჩასატარებლად ან/და ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოსთვის. <u>კლას-ლაბორატორიაში დამონტაჟდეს</u>: წყლის ონკანები სარქველებით, შესაბამისი კანალიზაციის სისტემით, რომელიც პირველ რიგში ესაჭიროება ქიმიური |

| | |
|---|---|
| | **ლაბორატორიას; აუცილებლად დაიდგას გამწოვი კარადა. ახალი სასკოლო ლაბორატორია შეივსოს: ახალი თვალსაჩინო მასალებით, მაგალითად, ცხრილებით, პლაკატებით, სქემებით, ატლასებით, მულიაჟებით, ვიდეომასალებით, ვირტუალური ლაბორატორიული საშუალებებით (პროგრამებით).**<br><br>**ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მატერიალური ბაზა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის<br><br>**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარდით დადგენილ მოთხოვნებს** |
| უცხოური ენები | კათედრაზე უზრუნველყოფილია საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რათა კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიღწეულ იქნას. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ზრუნავს მის კიდევ უფრო მეტად დახვეწაზე. |
| მათემატიკა | სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას.მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** |
| ტექნოლოგიები | სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება არსებული რესურსების ფარგლებში მიმდინარეობს. სკოლას არ გააჩნია კომპიუტერების საჭირო რაოდენობა, სასწავლო |

| | |
|---|---|
| | პროცესისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ერთი ლეპტოპი და პროექტორი. გაკვეთილების მიმდინარეობისას დამატებით გამოიყენება მოსწავლეთა ბუკები, ტექნიკური რესურსების სიმცირე გარკვეულ სირთულეებს ქმნის პრაქტიკული აქტივობების სრულყოფილად განხორციელების პროცესში. პრობლემას წარმოადგენს ინტერნეტთან დაკავშირებული შეფერხებებიც, რაც ზოგჯერ ართულებს ციფრული რესურსებისა და ონლაინ პლატფორმების ეფექტიან გამოყენებას, საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი დამატებით იყენებს საკუთარ ტექნიკურ რესურსებს. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | გადმოგზავნილი დოკუმენტაციის საფუძველზე და პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში არსებობს ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის მცირე აღჭურვილობა, ხელსაწყოები, რითაც შესაძლებელია **დაწყებითი საფეხურის** (1-6 კლასების) ბუნების საგნისათვის მარტივი ცდების და ექსპერიმენტების ჩატარება, ასევე, სკოლაში არის სადემონსტრაციო პლაკატები და სხვა ვიზუალური საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**დაწყებით კლასებში (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, მე და საზოგადოება, ბუნებისმეტყველება 1-4 კლ. )** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით.<br><br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

**4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

კურიკულუმის შემუშავებას, განხორციელებას და რევიზიას უზრუნველყოფს საგნის მასწავლებლები, რომლებიც ძირითადად არიან კვალიფიკაციის შესაბამისი რანგის და შეუძლიათ განახორციელონ ის ქმედითი ღონისძიებები, რომელიც წარმოიშვება სწავლა-სწავლების პროცესში და უზრუნველყოფს სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებული კურიკულუმების აღსრულების შესაძლებლობას, ასევე მათი მხრიდან უზრუნველყოფილია გარკვეული ცვლილებები განახორციელონ სწავლების პროცესში და დაარედაქტირონ კურიკულუმის მუშა დოკუმენტი კათედრასთან შეთანხმებით. ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს არც ერთი მენტორი მასწავლებელი. სკოლაში მასწავლებლად დასაქმებულია 3 უსტატუსო მასწავლებელი. **კურიკულუმი დაკმაყოფილებულია**

**რჩევა**: სკოლამ გამოაცხადოს ვაკანსია და პედაგოგიური კოლექტივი სრულად დააკომპლექტოს კვალიფიციური კადრებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

……
……
……

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.3. **კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

### 2.3.1. **მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის მეთოდოლოგიით მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას) და ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგის შედეგად იკვეთება კურიკულუმის დანერგვის პროცესში პედაგოგთა განსავითარებელი მხარე, ან/და კურიკულუმის ის ხარვეზები, რომელმაც კარგად ვერ იმუშავა საგაკვეთილო პროცესში, რათა მოხდეს კურიკულუმის კიდევ უფრო დაახლოება სასკოლო ცხოვრებასთან და მაქსიმალურად ასახავდეს სკოლის საჭიროებას, ამისათვის კათედრებზე შემუშავებულია დაკვირვების ფორმები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება სკოლაში ეფექტური და ქმედითი პრაქტიკაა, კათედრები ადგენენ გაკვეთილებზე დასწრების გეგმებს და მიზნებს. კურიკულუმის მონიტორინგის პროცესში ყურადღება მახვილდება მოსწავლეთა მხრიდან შესრულებული დავალების ანალიზზე, რადგან ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი სარწმუნო წყაროა და მისი ანალიზით იგეგმება ინტერვენციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

..გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები წარმოადგენს იმ მთავარ წყაროს, რომელიც კურიკულუმის განვითარების პროცესში კარგი ანალიზის გაკეთების საშუალებას აძლევს სკოლას, ამ დროს იკვეთება მასწავლებლის განსავითარებელი მხარე და კონსტრუქციული დიალოგის ფარგლებში სკოლა მუშაობს მისი აღმოფხვრის გზებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კათედრის სხდომის ოქმები
კათედრების ანალიზები
გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები
სასწავლო კურიკულუმები
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს და სასწავლო პროცესის წინსვლისა და განვითარების მთლიან სურათს თვალსაჩინოს ხდის. სკოლას აქვს პრაქტიკული გამოცდილება, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენოს მრავალფეროვანი წყაროები. კერძოდ, მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითშეფასებები, ურთიერთშეფასებები, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი. ასევე შემოქმედებითი დავალებების პირობებში წინასწარ გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, რომელთა საშუალებით სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით გააანალიზდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოები. ასევე აღსანიშნავია გრძელვადიან მიზნებზე გათვლილი ჰოლისტური შეფასების რუბრიკები, რომელიც მოსწავლეთა წინსვლას ანახებს მასწავლებელს თემის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად, ჩანს რომ მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის აქტივობები, როგორიც არის ინდივიდუალური საკლასო მუშაობა, პრეზენტაცია, ასევე შემაჯამებელი სამუშაო, შემოქმედებითი დავალების განსახორციელებელი ეტაპები, ამისათვის არის შემუშავებული სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები, შეფასების პროცესი ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და საგნობრივ საკითხებთან ერთად ყურადღების ცენტრში ექცევა მოსწავლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააზრება, საზოგადოებაში დამკვიდრებული ეთიკის ნორმების გათავისება, განსხვავებული აზრის პატივისცემა და სხვა, რაც ერთიანობაში მოსწავლის საბოლოო შეფასების ანალიზის და დასკვნის გაკეთების კარგი ინსტრუმენტია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასების პროცესში ჩართული არიან ძირითადად მოსწავლეები და მასწავლებლები. ხარისხის ჯგუფის შეფასების ფორმების ანალიზის საფუძველზე ისახება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებისათვის. მასწავლებლები ასევე იყენებენ მოსწავლეთა უკუკავშირებს როგორც წერილობით, ასევე სიტყვიერად, რომელიც ძირითად შეგროვებული ინფორმაციის ანალიზისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია. სკოლა დამრიგებლების მეშვეობით შეფასებისას იყენებს მშობელთა უკუკავშირს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასების რუბრიკები თითოეულ საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სკოლაში დიფერენცირებული მიდგომების პრაქტიკა არის საშუალება შეფასდეს მოსწავლეთა უნარები, დაისახოს მათი ჰოლისტური განვითარების გზა. ამდენად, სკოლაში არსებული კურიკულუმი განსაზღვრავს ისეთი სტრატეგიების დანერეგვას, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. შეფასების ინსტრუმენტებში ასევე გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებისათვის მცირედი ჩანართები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.*

*სასწავლო კურიკულუმი.*

*განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.*

*კათედრის სხდომის ოქმი*

*მოსწავლეთა ურთიერთშაფესებები და თვითშეფასებები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

თითოეული საგნის მასწავლებლები, შეფასების შედეგებს იყენებენ არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება უწევს კათედრას და სკოლაში შექმნილ პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით აკვირდებიან და შეიმუშავებენ შეფასების საფუძველზე იმ

საჭიროებებს, რომელთა გადაჭრა არსებითად აუმჯობესებს სასწავლო პროცესს. ამ პროცესისათვის მთლიანად სასკოლო საზოგადოება გამოხატავს მზაობას გაატაროს ის ქმედითი ნაბიჯები, რაც შემდეგი წლის კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსიის ფორმირებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით დასტურდება, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში ეყრდნობა წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სამომავლოდ ამ კუთხით სკოლა გეგმავს კონკრეტული მონიტორინგის გეგმის შემუშავებას,, რომლის ფარგლებში გაეცნობიან მაგ; სხვადასხვა კლასების მასწავლებელთა გამოცდილებებს, განვლილ კურიკულუმებს პრაქტიკის გამდიდრებისათვის, გააანალიზებენ შედეგებს და ანალიზისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე, შექმნიან გადამუშავებულ ვერსიას, რაც უფრო მეტად დაუახლოვდება და ასახავს სკოლის იმ საჭიროებას, რაც მომდევნო წლისათვის მოსწავლეთა ჩართულობას კიდევ უფრო აამაღლებს სასწავლო პროცესში. უფრო დახვეწილი და მრავალმხრივ ფუნქციური გახდება ახალი რედაქციით მიღებული სასწავლო კურიკულუმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.*

*სასწავლო კურიკულუმი.*
*კათედრის სხდომის ოქმები*
*კათედრების ანგარიშები*
*დამრიგებლების ანგარიშები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერებ